

# კ ვ ა ლ ი



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი. გამოსდის ყოველ კვირა დღეს

№ 49

ნ ო ვ ე ბ ე რ ი 29 1898 წ.

№ 49

შინაარსი: პოლიტიკა გ. წერეთლისა. — სხვა-და-სხვა ამბავი. — „კვალის“ კორესპონდენციები. — კვირიდან კვირამდე. — „ივერიის“ მკლავაძენი კ. გოგოლაძისა. — შენიშვნა სი — მესი. — წერილები რედაქციის მიმართ. — ბაქო არიძისა — თოფის სროლა, (შეძდგე) ამავე გ. წერეთლისა და განცხადებები.

რედაქციის ადრესი: არცილერის ქუჩა № 5, იმის ბინაში, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

## „კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1899 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლებით, როგორც 1898 წელს.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუზავენლათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუზავენლათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუზავენლათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. ათო ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში Артиллер. ул. № 5, вблизи Бадет. Корпуса.

ფოსტის ადრესი: Тифлисская редакция „КВАЛИ“.

პოლიტიკა.

კარგა ხანია ამ დროინდელ პოლიტიკაზე არ გვილაპარაკნია. როდესაც ისპანიასა და ამერიკას შორის ატყდა უთანხმოება ყუბის კუნძულის თაობაზე, ჩვენ მაშინ ასე გამოვთქვით ჩვენი აზრი: ეს უთანხმოება უომრათ არ გათავდება და ომში კი გამარჯვებული ამერიკა დარჩება, ყუბა განთავისუფლდება, ხოლო ეს გარემოება ისპანიაში არეულობას გამოიწვევს და გათავდება რესპუბლიკის დამკვიდრებით თქვა“. თუმცა მრავალი გაზეთები და თვით სახელმწიფოს წარმომადგენლებიც იმ აზრისანი იყვნენ, რომ უსათუოთ ომი ისპანიას უნდა მოეგო, მაგრამ იმათი სურვილი არ გამართლდა, რადგან ულმობელმა დროთა ვითარების წინმსწველოდამ და კულტურის მოძრაობის შედეგმა თავისი გაიტანა. ამერიკამ, როგორც მეტი კულტურისა და შეძლების მექონე სახელმწიფომ, თავისი აიღო: ისპანია დაამარცხა და შორს არ არის ის დროც, როცა დამარცხებულა ისპანია წარმატების გზას დაადგება და თავის ქვეყანაში რესპუბლიკას დამკვიდრებს, რადგან უამისოთ მისი სრული აღორძინება შეუძლებელია. მაგრამ ამერიკის გა-

სახელმწიფო რედაქცია  
ბი. ვ. ვალი

მარჯვენას ერთი ისეთი საოცარი რამ შედეგი მოჰყვა, ისეთი ახალი ხანა დადგა იმის გამო მსოფლიო პოლიტიკაში, რომ ამას კი არავინ მოელოდა. ამერიკიდან ამერიკა შეიქნა მსოფლიო სახელმწიფო, რომლის ძლიერების აზრდობა ევროპის სახელმწიფოებს ძილი დაუფთხო. აქამდის ამერიკა ძველი ქვეყნების საქმეში არ ერეოდა და მისდევდა მონროეს მცნებას, რომელიც ამტკიცებდა, რომ ამერიკა ამერიკელებისთვის, ამერიკას სხვა ქვეყნებთან საქმე არა აქვს; ბედმა იმას არგო საზრუნავათ ამერიკის ხმელეთის საქმეები, და გარეშე ამერიკის ხმელეთისა, იმას ევროპის სახელმწიფოებთან საქმე არ უნდა ჰქონდესო, იმას ამერიკის ხმელეთიც ეყოფა, რომ ევროპაში, აზიაში, აფრიკაში და ავსტრალიაში ევროპის სახელმწიფოებს არ შეეცილოსო. მთელი ერთი საუკუნე ამერიკის შტატები ამ აზრზე იყვნენ დამყარებული; მაგრამ ისპანიის ომმა და ინგლისის შორს მხედველობამ სულ სხვანაირათ დაატრიალა საქმე. ამერიკა გამოვიდა მსოფლიო ასპარეზზე, ის ჩაერთო ევროპის საქმეებში.

რომ უფრო თვალსაჩინოთ გამოვარკვიოთ ახალი ხანა მსოფლიო პოლიტიკისა, საჭიროა ორიოდ სიტყვით მოვიხსენიოთ ისპანია-ამერიკის ომის წინამსრბოლი ამბები. 1894 წელს ატყდა დიდი ამბები აღმოსავლეთში, ოსმალეთი შეარყია სომხეთის მოძრაობამ და შემდეგ საბერძნეთ-ოსმალეთის ომმა. შედეგი ამ მოძრაობისა იყო აღმოსავლეთის ერთა მოთხოვნილება გაეევროპიელებსა, ესე იგი რეფორმების შემოღების სურვილი, ისეთი წეს-წყობილების დამყარება, რომ დაჩაგრული ერები განთავისუფლებული ყოფილიყვნენ თავის მჩაგვრელ მამადიანებისაგან. როგორც ვიცით, ჯერ აჯანყდა სომხობა; შემდეგ მას მოჰყვა კრიტის კუნძულის ბერძნის ხალხი, რომელსაც წაექომავა საბერძნეთი და რომ რუსეთს არ გაეჩერებია ბალკანის სლოვენთა სახელმწიფოები: ბოლგარია, ჩერნოგორია და სერბია, უეჭველია იმათ კიდევ მიეშველებოდა რუმინთაც და ოსმალეთს დაამხობდნენ ზღვანდენი კოსტანტინოპოლიდან. ეს იქნებოდა მიხეზი დიდი ევროპული ომისა, რადგან კოსტანტინოპოლს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს საქვეყნო აღმშენებლობისთვის, რომ ვინც იმას დაიჭერს, აზიის ბატონობაც იმას დარჩება. და რადგან დიდ სახელმწიფოებს ყველას ამ ქალაქზე გამოუჭიმავეს თვალი, ამისთვის ყველანი შეთანხმდნენ; ისევე ჯობია, სულთანი დარჩეს იმის მფლობელათ და აღმოსავლეთის ქრისტიანებიც უწინდელ მდგომარეობაში, ვიდრე ჩვენ ერთმანეთს დავეტაკოთ და ერთმანეთი წაეანდინოთო. მაგრამ ეს ამბები კიდევ ისეთი დიდ მნიშვნელოვანი არ გამოდგა მსოფლიო პოლი-

ტიკისთვის, როგორც იაპონია-ჩინეთის ომი. ამ ომმა ნათლათ დაგვიანხვა გულნადები ევროპის სახელმწიფოებისა, იმათი განზრახვები ჩინეთის შესახებ. აღმოჩნდა, რომ თურმე ჩინეთზე, დიდი ხანია, თვალი ეჭირათ . . . ინგლისს, გერმანიას, საფრანგეთს ზე ამერიკასაც. თურმე ჩინეთის ოთხას მილიონი ხალხის მოთხოვნილება ევროპის აღმშენებლობისთვის ზე იმის თაბრიკების ნაწარმოების გასასაღებლათ ძალიან სახარბიელო რამე ყოფილა. ამის გამო ვერც ინგლისი, ვერც გერმანია ზე ვერც საფრანგეთი გულხელდაჭდობილი ვერ შეხედადნენ იაპონიის მიერ ჩინეთის დაპყრობას, რადგან იაპონიის ერთი გაეევროპიელებული იყო და რაკ ის ჩინეთში მოიკალათებდა მარტოთ მარტო, ევროპის სახელმწიფოები და იმათი წარმოება დიდ განსაცდელში ჩაეარდებოდა. ამისთვის დასაყვეთ აზიისკენ რომ ბერძნები და ბალკანის სლოვენები შელაგმეს, აღმოსავლეთით იაპონიას დაუდგენ წინ, ძალა დაატანეს შერიგებაზე და მერე ევროპის დიდი სახელმწიფოები თვითონვე შეესიენ საწყალ ჩინეთს, დაიპყრეს მისი საუკეთესო ნავსადგურები და სავაჭრო წერტილები: გერმანიამ — კიაო-ჩაუ და ინგლისმა — ვეი-ხაუ ვეი და ვაბატონდენ, როგორც ჩინეთის ხმელეთზე, ისე მის ზღვებზე და მდინარეებზე. რუსეთი, თავისი ინტერესების დასაცველათ, პორტ-არტურში გაჰაგრდა. ხოლო სამხრეთით შემოადგა ჩინეთს საფრანგეთი ტონკინის სამფლობელოდან. ამასობაში ამერიკამაც გაათავა ბრძოლა ისპანიასთან, გამოართვა მას ფილიპინის კუნძულები, რომელთა მნიშვნელობა აღმოსავლეთის უკიანეში და მთელი ჩინეთის ვაჭრობაში ისეთია, რომ ამერიკის სახელმწიფო ამ კუნძულების მეოხებით პირველ ადგილს იჭერს. ინგლისი დიდათ შეაწუხა რუსეთის მხნე მოქმედებამ და მისმა აშკარა სამხედრო მოძრაობამ. ჯერ ერთი წლის მეტი არ გასულა, რაც რუსეთი დაზინავდა პორტ-არტურის ბოლახში ზე ტალიენვანში, რომ იმან უკვე დიდი სამხედრო სიმაგრეები ალაგო, დააკეთა კანონები და ბანაკები; ახლა კიდევ ინდოეთის საზღვრამდის, კუშკამდის, მურგამის რკინის გზა მისულა. ამაზე უფრო შესანიშნავი ამბავი კიდევ ის არის, რომ რუსეთი აპირებს წითელ ზღვაში თავის სამხედრო გემებისთვის მისადგომი ბოლახი მოიპოვოს, ხოლო აზიის იმპერატორიკი გაიერთგულოს...

ვინც კი იცნობს კარგათ აზიისა და აფრიკის რუკას, იქითკენ მიმავალ ხმელეთისა და ზღვის გზებს, ყველა ნათლათ შეიტყობს, რომ რუსეთი სამიე მხრით ინდოეთისკენ იწევს: წითელი ზღვით და აზიის იმის შემწეობით ის ეცდება ინგლისის სამხედრო მოძრაობა შეაფერხოს, სუეცის არხით ინდოეთს მიმავალი გზა გადაუჭრას, მურლაბ-კუშკის რკინის გზით შემო

ინდოეთს გადაესიოს, ხოლო პორტ-არტურიდან ფულანგური მოძრაობით და საფრანგეთის დახმარებით ინგლისის ჩინეთ-ინდოეთის ჯარებს უკან დაახევინოს. ასეა თუ ისე, მხოლოდ ერთია ცხადი, რომ ინგლისი ახლა ძალიან აღელვებულია და შეუდგა ომის მზადებას. ამას ამტკიცებს უკანასკნელი სიტყვები სალისბურისა, ჩემბერლენისა და ლორდ ბიკსფორდისა. ამას ამტკიცებენ აგრეთვე რუსეთის გაზეთები, რომელნიც არ მალევენ და ცხადთ ამბობენ, რომ ინგლისი ჩვენთან საომრათ ემზადება და ამისგულისთვის ცდილობს ამერიკასთან ზეგერმანიასთან კავშირი შეკრას. თვით ამერიკას დიდი თანაგრძნობა აქვს ინგლისისა მას აქეთ, რაც ის ქომაგობდა მას ომის დროს, მაშინ როდესაც სხვა ევროპის სახელმწიფოები თანაუგრძნობდნენ ისპანიას. ჯერ-ჯერობით, სანამდის საქმე კიდევ ნათლათ არ გამოჩნდება, ინგლისი, ამერიკა ზე იაპონია, რომელნიც ჩინეთ-იაპონიის ომში ზე კორეის სახელმწიფოს გულისთვის ქიშპაზაში ძალიან გულნატკენი დარჩენ რუსეთზე, უფრო ერთათ არიან ხოლო საფრანგეთი და რუსეთი ერთათ. ახლა საქმე იმაშია გერმანია ვისკენ დარჩება? ომის მალე გადასწყვეტათ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან გერმანიას უწყველია თან მიჰყვება სამთა კავშირი და ოსმალეთი. მაგრამ გერმანიის სამხედრო პოლიტიკურ მოძრაობაზე და იმპერატორ ვილჰელმ II პლანებზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

გ. წყნეთელი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ამ თვის 21 მონდა მეორე საზოგადო კრება შიდა გუბერნიებიდან გადმოსასახლებელთა დამხმარე საზოგადოებისა. კრებაზე დიდი კამათი ატყდა იმის შესახებ თუ ვინ უნდა იყოს „საზოგადოების“ წევრათ. ბ. ველიჩკო იმ აზრის არის, რომ წევრი უნდა იყოს ამ საქმის მოყვარული, ამისთვის თავდადებული და თუ რომელიმე მათგანმა ვერ გამოიჩინა ეს თვისებები უნდა გამოირიცხოს საზოგადოების წევრობისაგანაო. „ეს საზოგადოება, თქვა მან, არ არის მარტო საქველ-მოქმედო, ის არის იდეურ საზოგადოება ზე აქვს ერთი გარკვეული მიზანი, რაიცა ძლიერ ბერს არ მიაჩნია სიმბატიურათ. ამისათვის საჭიროა კორპორატიული ერთობა და ეს სასჯელის შიშით იქმნება მიღწეული“-ო. ამის წინააღმდეგი იყო მხოლოდ ერთთ ერთი ოპოზიციონერი, რომელმაც განაცხადა: „თუ აქ რწმენისთვის იქნება ვინმე განდევნილი, მე თვითონ ახლავე გადავლო“. კენჭის ყრით გათვორდა

ბ. ველიჩკოს მოსაზრება და დაეწალა კომისიისა და მუხლის დაწვლილებითი შემუშავება.

როგორც იყო ქალაქის თვითმართველობას და რობის შორის მოლაპარაკება გათავდა და ახალ ხელშეკრულობაზე ხელიც მოაწერეს. ხელშეკრულობა იყო რობის მიერ წარმოდგენილი, რაც საბჭომ თიქმის შეუტყველათ მიიღო.

ხუთშაბათს, 26 ამ თვეს, ქართულ დრამატ. საზოგ. არტისტებისაგან ბ. კოტე მესხის საბენეფისოთ წარმოდგენილ იქმნა „კოტრი აზნაური“ კომედია ნ მოქმედებათ. წარმოდგენამ თავიდან ბოლომდის ჩინებულათ ჩაიარა. განსაკუთრებით ყურადღება მიიპყრო თვითონ მობენეფისეს თამაშმა. მან ნათლათ დაგეინატა ისპანიის გაკოტრებული და თანაც რაინდული მიდრეკილებების აზნაური. კარგი იყო ქ-ნნი ეფ. მესხი, ჩერქეზიშვილისა, ბ-ნნი გედევანოვი და კანდელაკი თავიანთ როლებში. ხოლო ბ. სვიმონიძე უფრო მორაშიყე მთავრის კაცს გაედა, ვინემ თვით მთავარს. საზოგადოთ, წარმოდგენა მწყობრათ და შესამებულათ ჩაატარეს. ხალხი ბლომათ დაესწრო. მობენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს.

„ახ. მიმოხ.“ პეტერბურლიდან ატყობინებენ: გზათა სამინისტრო მომავალი წლიდან აპირებს ფოთის ნავთსადგურის გარეგან მოწყობილებათა გადაკეთებას. ამის ხარჯათ აღრიცხულია 3.953.000 მან.

ქუთაისის ქალაქის რკინის გზის კონცესიონერი, მიხაილოვი, თფილისში ამ ქამათ სააქციონერო საზოგადოებას ადგენს.

მარგანეცის მწარმოებელთა კრების რჩევა შუამდგომლობს ამიერ კავკასიის რკინის გზის სამართველოსთან მიწვეულ იქმნას რჩევის წარმომადგენელიც იმ კითხვების გარჩევის დროს, რომელნიც შეეხებიან მარგანეცის საქმეს.

რამდენიმე კაპიტალისტი უმაღლეს მთავრობასთან შუამდგომლობენ ნება მიეცეთ რკინის გზა გაიყვანონ შავი ზღვის პირის გუბერნიასში და სოხუმში შეუერთონ ვლადიკავკაეის რკინის გზას. ნოვოროსისკს და ფოთს შუა მდებარე გუბერნია წარმოდგენს 30 ათას ოთხკუთხ ვერსტს, სადაც ირიცხება 67 ათასი მცხოვრები. ამათში ნახევარი ქ. ნოვოროსისკის მცხოვრებია. თითო ოთხ-კუთხ ვერსტზე მოდის 9 მცხოვრები, ქუთაისის გუბერნიასში—36. მცხოვრებთა რიცხვი თან-და-თან მატულობს სოჩის

აქეთ, ხოლო იქით, ნოვოროსიისკისაკენ, ეს არ ეტყობა. ცხადია, აქეთ უფრო მეგრელები ესახლებიან და კიდევაც მრავლობენ, იქით კი მეგრელებისთვის შორს არის, ხოლო რუსები არ ეტანებიან.

მას შემდეგ რაც რუსეთში რკინის გზის ბილეთები გაიათეს, პასაჟირთა რიცხვმა შესამჩნევად იმატა. მაგ. 1895 წ. მოემატა 3.026,657 მოგზაური, 1896 წ. 6,954,754 მოგ. ხოლო 1897 წ. 12.130,654. ამ უკანასკნელ წელს საერთო რიცხვი მოგზაურებისა ყოფილა 53.354,186.

ამ ქვათ თფილისში ყვაფილი მქეინვარებს.

დღეს, კვირას საღამოს, ქართულ თეატრში წარმოდგენილ იქმნება „სამშობლო“ დრამა 5 მოქმედებათ დ. ერისთავისა.

ჩვენ მივიღეთ: 1) მღვდელ ჯას. კარბუღოვის გამოცემა „ქართლ-კახუნი გაღობა კარბუღოვანთ გაღობათი — ცისკარი ნოტუბესუ გადაღებული მამა ჯას. კარბუღოვისგან, შეიცავს 256 გვერდს და ღირს 1 მ. 50 კაზ.

2) ახლათ დაბეჭდილი წიგნაკი: „იმერული სტენეი“ შეკრებილი გ. მქსისის მიერ. ფასი 5.

აკეალის“ კორესპონდენციები.

მკველი სენაკი, წინა წერილში \*) დაკარდი, მკითხველო, სენაკის სკოლას გაგაცნობ მეტქი და ახალა ვეცდები აეასრულო ჩემი დანაპარები.

მოგახსენებდიო, რომ ოთხ განყოფილებაში ოთხი მასწავლებელია, ერთი ინსპექტორი და ერთი აღმზრდელი. ბეშების რიცხვი? ვიცი არ დამიჯერებთ! ღმერთს გეფიცებით მე თითონ არ მჯეროდა, სანამ ჩემის თვალით არ დავრწმუნდი. და რა აღმოჩნდა?! ბეშების რიცხვი ძლიერს კარბობს მასწავლებელთა რიცხვს—სულ 110 ბეშაა. ასე რომ თითოეულ მასწავლებელზე 22 ბეში მოდის, მაშინ როცა ამავე სოფელში სამინისტრო სკოლია მასწავლებელს 80 მოსწავლე ჰყავს. იქნება მითხრათ, რომ ერთი მასწავლებელი 80 შევირდს ვერ გაწვდება, ეს არა ნორმალური მოვლენააო, მაგრამ, ჯერ ეს ერთი, რომ არც 22 შევირდია ერთს მასწავლებელზე ნორმალური რიცხვი, და მეორეც, ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფლის სკოლიდან გამოსული

ბეში ბევრით არაფრით ჩამორჩება აქაურ სოფლისკ. შეიძლება მარტო ამ წელიწადში იყოს ასეთი საზღაპრო რიცხვი შევირდებისა?

სტატისტიკა აი, რას გვეუბნება:

188 <sup>5</sup> / <sub>6</sub>	წ. შევირდ. რიც.	169	იყო	189 <sup>2</sup> / <sub>3</sub>	წ. 146	შეგ.
188 <sup>6</sup> / <sub>7</sub>	— — —	168	—	189 <sup>3</sup> / <sub>4</sub>	— 146	—
188 <sup>7</sup> / <sub>8</sub>	— — —	162	—	189 <sup>4</sup> / <sub>5</sub>	— 146	—
188 <sup>8</sup> / <sub>9</sub>	— — —	145	—	189 <sup>5</sup> / <sub>6</sub>	— 173	—
189 <sup>0</sup> / <sub>0</sub>	— — —	149	—	189 <sup>6</sup> / <sub>7</sub>	— 163	—
189 <sup>0</sup> / <sub>1</sub>	— — —	109	—	189 <sup>7</sup> / <sub>8</sub>	— 100	—
189 <sup>1</sup> / <sub>2</sub>	— — —	120	—	189 <sup>8</sup> / <sub>9</sub>	— 110	—

როგორც ციფრებიდან ჩანს ნორმალურა რიცხვი შევირდებისა არც ერთ წელიწადს არ ყოფილა. ამასთანავე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ 110 ბეშში 1/3 მინც გლეხობაა, ასე რომ რალაც 70 ბეშის ან-ბანის სწავლება ყოველ წლიე გვიჯდება 8000 მანეთი, (ასე ჯდება ამ სკოლის შენახვა), მაშინ როცა გურია-იმერეთის თვად-აზნაურობა წლებზე ფხვს იდგამს, ტყავს იძრობს, უკანასკელ მამულ—დედულს ესალმება და შეილისათვის პირველ დაწყებით სწავლაც ვერ მიუცია! როგორ მოგწონს ეს, მკითხველო? თოთხმეტი წელიწადია ეს ასე ხდება და ჩვენ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას ერთხელაც არ მოსვლია ფიქრათ შეეჩერებინა ეს ბოროტება! ეს იმასა ჰგავს, რომ კაცს ჯიბიდან უკანასკნელი გროში ამოაცალო და წყალში გადაჰქარო. ან რა საჭიროა ამოდენა ფულის დაღუპვა, როცა იმავე საქმის გაკეთება, რაც დღეს სენაკში კეთდება, ორას თუმანზე მეტი არ დაჯდება. ასეა ბათუმში, ასეა კავკაში. ამავე ტიპის სკოლაა ერთშიაც და მეორეშიაც, ერთსა და იმავე პრაგრამმას გადიან აქაც და იქაც.

მართლა არ ესმით მათ, ვინც სათავეში უდვას ამ საქმეს, ასეთი უაზრო ფლანგვა საზოგადოების ფულისა? არა, ეს სამწუხარო მოვლენა უცოდინარობით არ აიხსნება. უბედურება ის არის, რომ ყველა ჩვენ დაწესებულებას, სკოლა იყოს იგი თუ რაიმე სხვა, ისე კი არ ვუყურებთ, როგორც იარაღს რაიმე მიზნის, მისწრაფების, იდეალის განმახორციელებელს, როგორც მატარებელს და გამომხატველს ჩვენი სულის კვეთებისას, როგორც ძალას ეკონომიურათ და გონებრივათ აღმდგენს. არა! ჩვენი დაწესებულება ჩვენივე საგლახაო სახლათ მიგვიჩნია, ან არა და რომელსამე ბობოლას სურვილის ამასრულებელ იარაღათ. აი, ორი პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობენ ჩვენი გამგეობანი, ჩვენი კომიტეტები. ვთქვათ, ინსპექტორობის მადა გავეხსნა. გამგეობა ერთ განყოფილებას მეორეს უმატებს, მეორეს—მესამეს, მესამეს—მეოთხეს და—გნათლავს ინსპექტო-

\*) იხ. „გველი“ № 43

რათ. იმას ვინ კითხულობს, საქმეს ეს არგებს თუ ანებს. ან კიდევ, იქნება უადგილოთ დარჩი, მიმართე ბოზოლას, და რომელ ქართველ დაწესებულებაშიაც გინდა, ადგილი რომ არ იყოს, გააჩინენ, ახალ თანამდებობას შექმნიან, ჩაგხიროვენ სადმე, თუ გინდ საჭიროც არ იყო. ასეა სენაკში, ასეა თფილისში, ასეა ყველგან.

შეეუროგდეთ ცოტა ხანს იმ აზრს, რომ თითო განყოფილებას საკუთარი მასწავლებელი უნდა. ეს მკხუთე მასწავლებელი რაღა უბედურებაა? ეს მეექვსე მჭამელი რილას მაქნისია? მაგრამ, სულ დამავიწყდა, რომ აქ ცივებიანი ადგილია, და სამი თუ ოთხი, რომი მანც „ზაპასათ“ უნდა იყოს. ესეც რომ არ იყოს, თვიდან თვემდის ან თფილისში დაგჭარებება კაცს წასვლა, გასართობათ, ან ქუთაისში. ამნაირათ, როგორც ხედავთ, სენაკის სკოლა—ეს ექვსთაფა ვეშაპია, რომლის გაუმადრ მუცელში ასე უაზროთ იყრება ამოდენა ფული ჩვენი გამგეობა—კომიტეტები—ეს მადა გასხნილთა დაუღალავთა დამაკაყოფილებელი ბიუროა.

ჩვენ გვგონია, რომ დრო არის შევაჩეროთ ეს საზღაპრო ყელეფა გურია-იმერეთის თავად-აზნაურობსა. დრო არის თვით ამ თავად-აზნაურობამ მოთხოვოს პასუხი თავის აპეკუნებს. დრო არის თვით საზოგადოება ჩაერიოს საქმეში და მკაცრი ანგარიში მოთხოვოს მათ, ვისაც მანდო თვისი სვე-ბედი. დრო არის მოისვან ჯიბეზე ხელი, რომელშიაც ძალიან ცოტა-ღა არის ჩაჩენილი. თოთხმეტი წლის განმავლობაში 112,000 მანეთია დახარჯული ამ სკოლაზე. არ არის დრო სრულა წლოვანება გამოაცხადოთ და წინააღუდგეთ ამ გვარ უმაგალითო ფლანგვას თქვენს საკუთრებისას?!...

ახალ-სენაკელი.

სქმო ქართლი. მოგეხსენებათ, რომ ზემო ქართლის მიწა წყალა კერძოთ და მთელი ქართლის საზოგადოთ თავად-აზნაურების და რამდენსამე სომხ-ს საკუთრებას შეადგენს. იერუსალიმელ ბერებსაც კი დიდძალი მამული აქვთ, ხოლო გლეხკაცობა და, ასე გაშინჯეთ, სამღვდლოებაც უსახლკარო, ბოგანო ხალხს წარმოადგენს. მათ არავითარი მონაწილეობა არა აქვთ მიწა-წყალში. აქაური გლეხკაცობა სრულიად არ ეძებს საკუთრების შეძენას, ან კიდევ ბატონისაგან თავის დახსნას, თუმცა კი დაბეჯითებით იცის და გრძნობს თავის ტანჯვასა და წვალებას სხვა-და-სხვა შევიწროებისაგან. აქაური მამული ვინმე ეპარს რჩება ხელში და ან ისევ მებატონეს, და გლეხი კი, ბევრიც რომ ჰქონდეს, არ ყიდულობს. ამიტომ ისევ მებატონეთა შორის ხდება ადგილების გაყოფ-გამოყოფა და ამას დიდი დავიღარაბაც თანდევს. ერთი ამ დავიღარაბათაგანი ამ

თორმეტი წლის განმავლობაში ქურდევანიძეებს და გვერწითლებს შორის მოხდა და აღარ გათავდა, თან რამდენიმე კაციც იმსხვერპლა. რადგან მთელი ზემო ქართლი ამ ქამათ ამაზე ლაპარაკობს, ამიტომ არ იქნება ურიგო „კეალის“ მკითხველთ ჩვენი ზოგიერთი გმირების თავდასულობა გავაცნოთ... ეს მით უმეტეს, რომ ამ საქმეში ურევია არა მარტო ქურდევანიძე და გვერწითლები, არამედ ისეთებიც, რომელც ჩვენ ქართლში პირველებათ ითვლებიან და კაცების სისხლში კი ისერებიან...

ახ. გვერწითლები ა და ქურდევანიძეების მამული მდებარეობს ს. ხაშურის ცოტა ქვემოთ და სახელათ აგარას ეძახიან. პირველათ ეს მამული სულ ერთიანათ გვერწითლების ყოფილა. მერე დროთაბრუნვის გამო ერთი ნაწილი მემკვიდრეობით ქურდევანიძეს დარჩენია; მაგრამ გვერწითელს პანდურის ცემით გაუგდია. საქმე სასამართლოს გადაეცა, სენაკიც მოიარა და ქურდევანიძემ ყველგან მოიგო და მამულიც მათ სახელზე შემოიყორღნა. მაგრამ რათ გინდა ცარიელი ყორღანი, თუ შენ ადგილში არავინ შეგიშვებს და კინც მოგერევა, ის წაგართმევს. ასე მოუვიდათ ქურდევანიძეებს. მამული მათი იყო, მაგრამ გვერწითლები ძალადობდენ, რადგან მათ ფულიც აქვთ, თოფიც და „პროტექციაც“. აქაური დიდკაცობა გვერწითლებისკენ იყო, ქურდევანიძისკენ კი კანონი იყო და სხვა არაფერი, არც ფული და არც პროტექცია. ადგილობრივ პოლიციას ქალაქი-ქალაქზე და ბრძანება ბრძანებაზე მოუდიოდა, მოიყვანეთ სისრულეში უმაღლესი მთავრობის გადაწყვეტილება და მით საწყალ ქურდევანიძეს, რომელსაც არც თოფის სროლა შეუძლია და არც ხმლის მოქნევა, მამული ჩააბარეთო. მაგრამ სულ ტყუილათ: არა იქნარა! მივიდოდენ გვერწითელთან ათი-თორმეტი კაცი და ისევ ისე გამოისტუმრებდენ უკან, როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო“, და ერთხელ-ორჯერ პოლიციის ბოქაულიც კი შეურაცხვევს ხელით, რის შეახებ სასამართლოშიაც წარმოებდა საქმე. ასე მიდიოდა დღეები და წელიწადები. ქურდევანიძეებმაც ვერა გაიტანეს რა. ბოლოს ამათაც ძალას მიმართეს, ადგენ და რამდენიმე თავზე ხელ-ადებული კაცი, ნაყაჩაღევი და კაცის მკვლელები, იშოვეს და თავის მამულში ჩუმათ შეიყვანეს; ეს მამული გადასცეს იმ პირობით რომ გვერწითლები გაერეკათ იქიდან. ორივე მხარე, რასაკვირველია, თოფ-იარაღით იყო შეკაზმული და ყოველ დღე გაჰქონდა თოფებს გრიალი, საქონლისა და ცხერის ხოცვას აღარ ჰქონდა ანგარიში. ამის გადამკიდე ახლო-მანლო სოფლების მცხოვრებლები მეტათ გაჭირვებული იყვენ. ქურდევანიძის

ყარაულები შეხედობოდენ საწყლებს და ტყავს აძრო-  
ბდენ, გვერწითლის ყარაულები შეხედობოდენ და  
ისინიც ასე იქცეოდენ. ამას ისიც რომ დაეუმატოთ,  
თუ რამდენი საწყალი მეურმე და მეეტლე, ამ მამუ-  
ლზე მიმავალ. შარა გზაზე ყარაულებს გაუცარცევეთ,  
მაშინ აშკარა იქნება აქაურების მდგომარეობა.  
ჩქარა ცარცვა-გლეჯვას და ხარ-კამების ხოცვას კა-  
ცების ხოცვაც ზედ-დაერთო. შარშან ზაფხულზე გვერ-  
წითლებმა მოჰკლეს ქურდევანიძე. აწიოკდა მთელი  
მისი ოჯახი, მოკლული ტელეგრაფზე მუშაობდა  
დღიურათ და ახლა მისი შვილები ულუკმა-პუ-  
როთ დარჩენ. თუმცა ქურდევანიძის ოსებიც ძალიან  
დახელოვნებული იყვენ კაცის კვლაში, მაგრამ გვერ-  
წითელთან ვერას გახდენ და გაიფანტენ. დაჭრილ-  
დასახიჩრებული გვერწითლები თავის ჩაჩნებით მ-რ-  
ჩენ და ისევ შევიდენ მამულში სათარეშოთ. გაიმარ-  
ჯვა ისევ გვერწითლის ფულმა და ძალამ. ხსნა არსად  
იყო და ქურდევანიძემ თავისი მამული ახლანდელ  
გორის მაზრის თავაღ-აზნაურთა წინამძღოლს ბაგრა-  
ტიონ დავითიშვილს გადასცა და თვითონ ჩამოეცა-  
ლა. ატყდა ბრძოლა ბაგრატიონსა და გვერწითელს  
შორის. ადგა ბაგრატიონი და ყურის მგდებლათ ოსები  
მოიყვანა. ერთი ორი ამათვანი ძალიან გამოცდილი  
ყოფილა კაცის კვლაში. დაჩეხა და ქურდობა რომ  
არ ეიანგარიშოთ ერთს ოთხი კაცი ჰყოლია უკვე  
მოკლული, ხოლო მეხუთეთ მან მოჰკლა ბერდანკის  
თოფით ის გვერწითელი, რომელმაც შარშან ქურ-  
დევანიძე მოჰკლა. აქ კანონს აღარაეინ უყურებს. მო-  
მერიე შენია, მოგერიე და ჩემი. მაქვს შეძლება —  
ყარაულებიც ბევრი მყავს და შენი მოკვლაც შემე-  
ძლია, ღარიბი ვარ და შენ შეგიძლია ყველა ეს,  
შენია ბურთი და მოედანი. აქ ძალა ბატონობს.  
გაიხედავთ და მობძანდება რომელიმე ვაჭბატო-  
ნი და უკან ოთხი ხუთი კაცები ბერდანკებით შეი-  
არალებული თქათა-თქუფით შოსდევნ. ასე გგონია ეი-  
ლაცას გამოჰკიდებინან მოსაკლავათო, და მერე არ  
ხოცვენ თუ!?... ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ აქა-  
ურ მებატონეებს განსაკუთრებით მეგაზეთე და გა-  
ზეთის მკითხველი ეჯავრებათ...

საშუაში.

ქვემო-ური.

გვამ „მათმა ღონემ“ ვერ გაიტანა ისინი, უგანასკნელ-  
დრამებმა კი სამაგაერთ კაჭვით ჩაიარა და საზოგადო-  
ებაც კმაყოფილი დარჩა. დრამები ფრანგულ კამოზე  
აჩიან დაწეილნი და სცენები, როგორც რუსები იტყვი-  
ან, *разчитаны на эффект!* ჩვენ აქ არ ვიღაცააჩვენებთ იმაზე,  
თუ ვინ როგორ შესაძრულა თავისი როლი, მხოლოდ  
ვიტყვიოთ ორიოდე სიტყვას გავერით რეპერტუარზე და  
არ ვისტებზე. წელს რეპერტუარი გაცილებით უფრო სა-  
ინტერესო და მდიდარი ვინემ შარშან იყო. პიესები  
თითქმის ყველა ახალია და ცოტათ თუ ბევრათ თანამე-  
დროვე ცხოვრების დამახასიათებელი. შიგა და შიგ ურე-  
ვია ორიგინალური ახალი პიესები. დიკრეცია გვიჩვენებს  
აბონიერტის გარეშე ახალი პიესების დადგმას. მართალია,  
სცენის საფუძვრიდან კიდევ გვესმის გრგვინვა და ბრძანე-  
ბა რომელიმე გერცოგ-ბარონისა, მაქა ესეც იშვიათათ.

აქაური არტისტები საერთოთ სახანობიელს აჩა-  
ფრეს წარმოადგენენ. სათითათ კი გვევს რამდენიმე  
ნიჭიერი არტისტი. უგანასკნელთა შორის რასაკვირვე-  
ლია პირველი ადგილი ბ. ვლ. მესხიშვილს და ბ. გამ-  
ურელიძეს უჭირავთ. უგანასკნელი მეუღლითურთ მოი-  
წვია აქაურმა თეატრის გამგეობამ ამ სეზონისათვის. ბ.  
გამურელიძე სვინდისიერათ ეკიდება თავის როლს. ერ-  
თათ ერთი მისი ნაკლებუკანება კ. ეიფიანის მიხამვა.  
კარგნი აჩიან აგრეთვე ბ. ქუჭვი, ბაღანჩივაძე, ნუბო,  
თუთბერიძე და... პირველ სამზე ის გვეთქმის, რომ თა-  
განთ როლეს არ აფუჭებენ მანცა. ბ. თუთბერიძე კი  
შესაფერ როლეს არ დებულობს და ხან-და-ხან მისი  
თამაში, მაგალითათ როგორც ვერას, ძლიერ ვოჭვობს.  
ამაში მას დანაშაული არ მიუძღვის, რადგანაც არტისტე-  
ბის სიტუტავის გამე, რეჟისორი მას აჩეჩებს სულში  
როლს. არტისტს სმაც დალატობს ცოტა და გადამეტე-  
ბულ ტრაგიკობასაც იჩენს. ქალის პერსონალი მეტათ  
დაჩიბია; ქ. ნ. ჩხეიძისა, ქ. გამურელიძისა, ჩიქოვანი და  
გვეტაძე. პირველი არტისტი-ქალი ყველა უმთავრეს  
როლეს ასრულებს და სვინდისიერათ ეკიდება საქმეს.  
როლი ყოველთვის კარგათ იტის. ქ. ჩხეიძისა დღითი  
დღე წარმეტება იტეობა. სხვები კი... მაგამ სხვებზე  
შეძლებ.

შავია — დია.

კვირიდან კვირამდე

ორი შესვდრა — ახლა მანც ადარ  
გვეკრა? — ახალ მოდის იდეა —  
ასირეუელი თავის მართლებს — სა-  
კვირველი კანდიდატი. —

ბიკითხეთ თქვენი მეგობრის მანიფესტი, ბატონო  
საქართველოს ბურჯო?

— რა მანიფესტი, რას ამბობთ?

— აი ის, რომელიც ბ. ველიჩკომ გამოაქვეყნა „კავკასის“ მე-304 და 306 ნომრებში.

— ჰო, რაღაც ფარსავი არ მეგონა, მე ეს კიდევაც გადამიფიქრდა და თქვენ კი ახალ ამბათ გამოგაქვეყნეთ.

— როგორ თუ გადაგიფიქრდათ? არ არის ყურადღების ღირსი?

— ყურადღების? როგორც გინდათ, არის და არც არის, მე ვიცი რომ ის მას ისე მოუვიდა, მოუფიქრებლათ, უეჭველია კიდევაც ნანობს, მე გუშინ შინაურულათ წერილი მივწერე და გვახსენე ის დაპირება, რომელიც მან სხვა-და-სხვა სადილებზე მოგვცა. ჰო ნეტავ იცოდეთ, რა ნაირათ უყვარს ჩვენი ქვეყანა...

— ამას მეც ვხედავ, უყვარს და მოსწონს, თვარა ისე ხომ კრინტსაც არ დასძრავდა გადმოსახლებაზე, მეტადრე ქართლ-კახეთი შეყვარებია... სულ თფილისის გუბერნიით გაიძახის, იქ არის ბევრი ცარიელი მიწა-ადგილიო.

— არა, მე თქვენ გთხოვთ მის სიტყვებს ასე პირდაპირ ნუ გაიგებთ, იცოდეთ რომ ეს სულ სომხების სიძულვილით მოხდის და არა ქართველების...

— ჰმ!.. მშვიდობი!

\* \*

ერთ საათს უკან იმავე ბურჯთან შეიჭრა მეორე ბურჯი და გაცეცხლებული მივიარდა:

— რა გვიყავი ეს კაცო, რატომ დაგვლუპე?

— რა ამბავია, მოითმინე, საქმეს განსჯა ეჭირვება.

— რაღა განსჯა, ამას კიდევ ფიქრი უნდა? საქვეყნოთ ჩვენ მხსნელათ აღვიარეთ და ახლა... ხომ ხედავ როგორ გამოიყენა ეს ჩვენი სტუმართ მოყვარეობა...

— ასე იცი შენ ყოველთვის, რაღაცას დაიჭინებ და აღარ გაათავებ. ეს სუყველაფერი გასწორდება, ის ჩვენი კაცია და ჩვენათ ღარჩება. ამის შესახებ გუშინ წერილი მივწერე...

— წერილი? მაშ სწორეთ ამის პასუხი ყოფილა დღევანდელ „კავკაზში“.

— რა პასუხი? მე არ წამიკითხავს!

— სწერს, რომ თუმცა ბევრი გვეწინააღმდეგება, მარა ჩვენსას მაინც გაეიტანთ ბოლომდისო... აქ ორივე შეჩერდენ, ენა დაებათ და გულამოსკენილი სავარძელში ქეითინით დაეშვენ.— ჩვენო იმედო, ჩვენო მხსნელო, როგორ გამოგვეჭერი ყელი, როგორ მალე გვიღალატე— მოთქვამდენ ორივე ერთათ ამ ღროს შემოვიდა ბიჭი და ბატონს შემდეგი შინაარსის წერილი გადასცა: ჩემო გულითაღო მეგობარო! ამ სა-

ლამოს წვეულება მაქვს და გთხოვ მეწვიოთ. დაპატივებულო მყავს საუკეთესო პირები, სულ ჩვენი ახლო მეგობრები, მაშ მოგვლით. თქვენი და თქვენი ქვეყნის ღრმით მოყვარული ვ. ვ—

— ხომ ხედავ! ჩვენი კაცია-მეთქი გეუბნებოდით, ახლა მაინც აღარ გჯერა?!

\* \*

და მართლაც, ახლა ვის აღარ სჯერა ის, რომ რომ ბ. ველიჩკომ დააარსა, როგორც თვითონ ამბობს, „იდეური“ საზოგადოება. ეს „იდეა“ იმაში მდგომარეობს, რომ შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლოს გლეხები აქაურ სახაზინო მიწებზე, მიუხედავთ იმისა ეს მიწები გამოადგებათ მათ თუ არა. მას უნდა მხოლოდ-რამე ნაირათ—ეს თავის გულის წადილი აისრულოს და გადმოსახლებულები მოკვდებიან თუ მორჩებიან, ციებ-ცხელება იმსხვერპლებს თუ შიმშილ-წყურვილი ეს მისთვის სულ ერთია. რა ეუყოთ მერე, „ერთი წევა მეორე მოვა ტურფასა საბალნაროსა“-ო - აზროვნობს ბ. ველიჩკოს „იდეა“. და ვინც ასე არ ფიქრობს, ვისაც ამაში ცოტაოდენი ეჭვი შეაქვს, ვისაც ხალხის ასე ჭაში ჩაყრა არ სურს—ეაი მისი ბრალი, ის მოღალატეა, ის გამცემია, ის ღირსია უსასტიკესი სასჯელის. აი, ეს არის ბ. ველიჩკოს მეორე „იდეა“. და ამიტომაც ის „საზოგადოების“ სხდომაზე ქადაგობდა: ვინც ჩემსკენ არ არის, ჩემი წინააღმდეგია და, მაშასადამე, ის უნდა განიდევნოს „საზოგადოებიდან“. როგორც ხედავთ, ეს რაღაც იდეიაა ძალიან გაუტანელი რამ ყოფილა, ზოგს ღონით ერევა და ზოგს ხერხათ...

\* \*


მარა ვერაფერი ხერხი ცუდნია ყიფიანის დამცველს ბ. ფალავას. ის გამოხსულა „ივერიის“ ფურცლებზე და თავს იმართლებს. რის ან ვის წინააღმდეგ—სწორეთ ძნელი გამოსაცნობია, მას რომ დაუჯეროთ ეს „თავის მართლება“ ეითომ „კვალში“ დაბეჭდილ მათიანეს გამოუწვევია. ნამდვილათ კი ბ. ფალავა ამტიკებს მემათიანეს სიტყვებს და მეტს არაფერს. და თუ ეს „თავის მართლება“ იყო—აღარ გვეგონა. აი, ეს ახირებული თავის მართლება: „გაზ. კვალის მე-45 ლ 46 (?) №-ში იყო დასტამბული, ეითომ მე ყიფიანის დაცვის ღროს საზოგადოთ სტუდენტების წინააღმდეგ, მელაპარაკოს ოლქის სასამართლოში“. საიდან სადაო! ალბათ ამის დამწერს არ წაუყითხავს „კვალის“ მათიანე, თვარა იქ ამოიკითხავდა: „ოლქის სასამართლოში განსაკუთრებით ყურადღება მიიქცია ყიფიანის ექვილმა ფალავამ თავისი გალაშკრებით სტუდენტების წინააღმდეგ“. სად არის აქ სიტყვა „საზოგადოთ“? ხოლო სტუდენტე-

ბი ეწოდება ორ ღვეშეტ პირს, და რომ ასეთი სტუდენტების წინააღმდეგ კი გალაშქრა და მთ სტუდენტის მოწოდება დაუპირდაპირა მის თეთონე აღიარებს. არ აღიარებს შოლოთ ერთს: რატომ იმ სტუდენტების მოწოდება სინამდვილეს მოკლებული იყო? ამ, ამასაც რომ ავიხსნიდეს მაშინ ბ. ფადეას წინააღმდეგ აღრავფერი იქნება საოწყლო. მარა რად განაც ბ. ფადეა ჩვეულებრივად დიდ ხანს ეგლოდნებს, ამიტომ ამავე ნომერში ვითაცებთ ამ, ახსნას, რასაკერძეულა, არა ფადეასას, არამედ ცარეშე მა ურბებელისას.

ერთი ახირებული კახსნაა წარმოუდგენია ვა-  
მატირის მძიმეულ კოლეგსი სტუდენტის თილი-  
სის საბჭოსთვის. მას მოუსურვევია ვამგეობის წვე-  
რება და ხსნის თუ რამ აღმა მასში ასეთი სურვი-  
ლი. ის საბჭოს ახრალეს უკანონო ქვედას ფუ-  
ლების ფლანგვის და კიდევ ვინ რისს ჩაა... და თა-  
რად ითხოვს, მე თუ ამირით ყველა ეს განწორა-  
ვა... კარდღტი ამრჩეულთ ასე ღამძილევის  
და თანაც გათორებას თხოვლობდეს—ეს სწო-  
რეთ პირველად გვეხსის, მარა ამ თილი-სის თეთ-  
მართებლობის ასარჩებზე ყოველ წარს საკერძეულს  
უნდა მოველოდეთ. ვერ სდ ბრის, მიზალი უე-  
ჭველი კიდევ უფრო დიდ ამბებს გვიზავებს...

დადებითი  
კრიტიკის: მკვლავებნი.

დევრიის\* ჩიორ-ბეგობრები\* დღეს ამბებში არიან;  
და კაპან წვეტის ეწვეიან, რომ რამწარათ, ასე  
თუ ის, მით მინგრულ-მირგრეული, გამოფრულ-  
დაცოლიტობული, ბეულ ეთმეში სუსტი ძაუთი  
მიმარბული ბუღე შეგაჩიონ და მით თითონაც  
შერქლენ, ან ვაღმეცეფიერ და სინათლის მიედან  
ზე მთელი თავისი სიქც-სიგანით არ ვაიშლარ-  
თონ. რა და რა გვარ საშუალებებს არ მხარობენ  
ამ მიზნის მისაღწევთ, რა და რა გვარ ხაღბს არ  
იწვევენ მათ ბნელით მოკლებულ ბუღეში, კოდეტ ვე-  
ქ ლობენ... უცქრავათ, აბოკატობენ, კოდეტ ილან-  
ძღობიან, მარა ევ დალოცილი სინათლე თავისას არ  
იშლის, უჭათ ხეწენ ქვეყნიერებას თავის ბრწყინ-  
ვალ შუქს, არც ხეწი საშობილო ავირუება, სებათ  
შორის ჩიორების\* ბუღესაც წევება და შთა შივის  
ქარს გერის, აწიბინებს და ავიღებს... და აი, ავი-  
ღებულბო ჩიორა\* თავის ბუღის — იფირობი\* —  
მე-284 ნომერში კვებლის\* თანამშრომლებს ქარ-  
თული ერის უკუღრამობას უკვირებს, რატომ  
მეღეუბთარ-ჩვეწებრათ არ ლაბააკობენ, რატომ



დავითური ერთი სულთა თანა განსვენებულ-  
სასა, სულთა მონისა შენისას ჩიორისას — არ წე-  
ჩირო. მადნარი ეწა და მადნარი დამატუკის სურდა  
კეფრის\* რედქტკომ შენათოს თავის ბუღეში და  
ჩიორიბი ენათაც სურდეს, იმ ერთი აწიბინის თა-



ვისი ჩიორა\* მარა ეწა და ღამატუკის სურდა ამ რა  
შუაშა, ბატონებო. ჩიორა კვებლის\* ერთ საქცილს  
აუშვოთები (და არა თუ მარტო ჩიორა, იმის მივარ-  
ველბოც), სახეღობაზე პედაგოგ ს. ყოფიანის მესხბე  
სიმარლის გამოთქმას, მოგესწენებათ, ამ რადფინამე

თვის წინით, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-  
დობებს ვამგეობისაგან და ყოფიანისაგან ბუნლით მო-  
კულ სენაკის სკოლის საქმეს კვებლა\* სინათლე  
მოპოვინ, პირამდე ახალ და საზოგადოებას ამ-  
ცნო: საშინელი უკანონობა ხდება ავტო 15

დადებითი კრიტიკის: მკვლავებნი



წელიწადია სენაკის სკოლაში ამ სკოლის „პატრონ“ ყიფიანისაგან და ახლა მაინც მოდით გონს, საზოგადო კრება ახლო არის და ამ საქირ ბოროტო საქმეს გაუკვლიეთ გზა ისე, რომ სიმართლე არ იხაგრებოდეს... — ყველა ქეშმარიტი გულ-შემატკივართაგანი საზოგადო საქმისა მოვალე იყო ეს გამოეთქვა. ყიფიანის დამცველებს არ ექაშნიკათ ეს „ვაშლიკვეყნება“ და ჩუმად მორთეს წრაპინი: „როგორ ბედავენ ამაზე კრინტის დაძვრას! ვინ ბედავს ჩვენი კლიენტის მხილებას!.. მარა რა გეაწუხებსო — წაილაპარაკეს — ძალა ჩვენ ხელთ არ არისო?!.. აღგენ ეს „მარილნი სოფლისანი“ და ისე გადაწყვიტეს სენაკის სკოლის საქმე, როგორც ყიფიანს და მის დამცველების სულს და გულს უნდოდა: ყიფიანი გაამართლეს და სიმართლისთვის მებრძოლი მასწავლებელი აქეთ იქეთ გადაფანტ-გადმოფანტეს. — აი, ხომ ხედავ! — უთხრეს ყიფიანს — ვინც შენ უკანონობას კვალში უდგენ, ივინი ჩამოგაცალეთ, აწი ბურთი და მოედანი შენიაო, ჩვენ გწყალობდეთ და ვინ რას დაგაკლებსო! — ამ გადაწყვეტილებით „კვალზედაც“ შური იძიეს: აი, დახე! შენ ბევრი იქადაგე სიმართლისათვის, მარა ჩვენ მაინც ჩვენი ვქენითო. ეს დღევანდლამდის გულში ჰქონდათ შენა ხული და ერთმანეთს თუ გაუზიარებდენ ამ მათ „კვალისადმი“ შურის ძიებას, თვარა საქვეყნოთ არ გადმოუძახიათ. ახლა კი, როდესაც მათმა გმირმა ქუთაისში თავი ისახელა გმირული საქციელით და კიდევ გამართლდა, (ჯერ გამართლება შორს არის) მისმა მფარველებმა თავი წამოყვეს და „ჩიორას“ გადმოაწრიპინებინეს: ყიფიანის მიმართ უმიზნო სიძულილით შეიარაღდა „კვალიო“. შენც კარგათ იცი, ბ-ნო „ჩიორა“, უმიზნო სიძულილია ეს თუ მიზნისანი. მარა შენ მაინც შენებურათ უნდა იძახო; რასაც ჩაგძახებენ შენი მფარველები, შენც იგი უნდა ამოიძახო. ნუ თუ ნმ წვერი წერ. კ. გამ. საზ. უმიზნოთ თხოულობდენ გამგეობისაგან სენაკის სკოლის საქმის ხელ-ახლათ გადაშინჯვას? ნუ თუ ყველა ეს წვერები „კვალის“ რედაქციიდან იყო მოქრთამული? ნუ თუ სენაკის მაზრის თავად-აზნაურობა უმიზნოთ თხოულობდა იმასე, რასაც წვერები? ნუ თუ ის სოფლის მასწავლებლები, რომლებიც გამგეობას თხოვდენ უკანონო განაჩენის გადაშინჯვას ბრიყვები და სულელები იყვენ?... ჩიორას აზრით, რასაკვირვებელია, ისინი ყველა კერძო ინტერესებით იყვენ აღჭურვილნი, როგორც ყიფიანის მტრები. ბ-ნი ჩიორა თავისი ყიფიანის დაცვით იცავს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას, იმ გამგეობას, რომელმაც წ. კით. გამგე. საზოგადოების წევრების, თავად-აზნაურობის და სოფლის მასწავლე-

ბლების თხოვნას წინააღმდეგობა და „დარჩეს უყურადღებოთ“ დააწერა. ამგვარი საქციელი გამგეობისა საზოგადოების აზრით აგდება. ეს ისეთი შეურაცხყოფაა, რომელზედაც უეჭველია საზოგადოება პასუხს მოთხოვს გამგეობას. მხოლოდ არ რწამს ეს ქეშმარიტება „ივერიას“ და მის ამყოლ-დამყოლ ჩიორებს. უთუოთ დიდი კავშირი და მეგობრობა აქვს „ივერიას“ წ. კ. გამ. საზ. გამგეობასთან. იმ გამგეობასთან, რომელსაც რაინდი პედაგოგი ინსპექტორათ ჰყავს სენაკის სკოლაში, ის პედაგოგი, რომელსაც ერთმა ინსტანციამ ქუჩაზე ჩხუბისათვის მ კვირით ცინეში ჯდოდა მიუსაჯა და, ვინ იცის, იქნება კიდევ მიუსაჯონ. აღმზრდელი ნორჩი თაობისა, თვისი გონება ზნეობის განმასპეტაკებული (!) ქუთაისში კრიეს მართავს, დამნაშავეს სკამზე სკუბდება, თვისი ამგვარ უმგებანო საქციელით ქვეყანას ალაპარაკებს, ხოლო წერა-კით. გამავრცელებ. საზოგადოების გამგეობა ამ საქციელის შემდეგაც ტოვებს მას მოზარდ თაობის მასწავლებლათ! ეაშა! გამგეობაე!... ბ-ნო ჩიორა, დაჰკარით ტაში!...

რაც შეეხება ყიფიანისაგან მომხდარ გმირობას ქუთაისში, ეგ ისეთი საძაგელი საქციელია, რომ ყიფიანისგვარ პედაგოგისაგან თუ გამოელის ამგვარს კაცი, თვარა სხვას აბა ვის ძალუძს ამოდენა გმირობის ჩადენა? ამ მისმა გმირობამ მთელ საქართველოში ზიზლი გამოიწვია; „ივერიის“ რედაქციას და მის ჩიორებს კი ნეტარება აგრძნობინათ (და აგრეთვე დადათ გაახარა ცნობილი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“). დეე, ინეტარე, „ჩიორა“ ამგვარი რაინდული მოქმედებ-თ. ბ. პალმთან ერთათ აქე და აღიდე ამგვარი გმირნი. იმათ დაცვას და დიდებას არა ვინ გიშლის, მარა მკითხველი საზოგადოება აქ რა შეუაშია, რომ მაგგვარ „ქებათა ქებით“ და აბლაკატურ „რეჩით“ უმასპინძლდებიტ?... იქნება ჰფიქრობ, რომ საზოგადოებას ძველებურათ ძინავს, ძველებურათ უკმევენ გუნდროუქს შენ „წმიდათა წმიდას“. ცდები, „ჩიორა“, ისე, როგორც ყველაფერში... 1)

კ. გოგოლაძე.

1) ამით კსპობთ ჩვენ „ჩიორასთან“ დაპატიჟებას და გაგუწეებთ იმ პირობით, რომელმაც ამ საგანზე წერილები გამოგვიგზავნეს, რომ არც ერთი ამათგანი არ დაიბეჭდება. არ ვუჭვდავთ აგრეთვე „იუჩისტის“ მასუხს ვინა იდნ ნათქვამია: გერ გათეთრდება ყოჩანი რაც უნდა ხესო ქვიშითო და მასასადაქე ახლაგატიც ახლაგატთ დაწება.

# შ ე ნ ი შ ე ნ ა

პირველი.

ქურონალ „მოამბის“ მე-IX ნომერში მრავალ საკვირველ წერილთა შორის მეტათ საყურადღებოა „შენიშვნები სოციალიზმზე“ გუსტავ ლებონისა, თარგმნილი ბ. ი. ფანცხავას მიერ. ბ-ნი ფანცხავა, როგორც ჩანს მისი შენიშვნიდან, ეკუთვნის იმ ნაწილს ჩვენი ინტელიგენციისას რომელსაც ძილი დაუფთხეს „ერთგვარი მოძღვრების“ მიმდევრებმა. ვინ იცის, რა ხერხი არ იხმარეს ამ ესრედ წოდებულმა ინტელიგენტებმა, რომ პირში ბურთი ჩაეჩარათ „მქადაგებელთათვის“; ასე გაშინჯეთ სამშობლო ენის და მამულის მოღალატეს სანელითაც კი მონათლეს ისინი. არ დაუზოგავთ, რა თქმა უნდა, თუ კი რამ ცოდნა ჰქონდათ: მთელი თვისი ავტორიტეტით და ცოდნით მიესიენ ყოვლისმცოდნე და შექმნე ინტელიგენტები „მოძღვრების“ მიმდევართ, რომ მიწასთან გაესწორებიათ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ინტელიგენტთა ცოდნის საღარო მეტათ ღარიბია და მათი ავტორიტეტი ძლიერ მსუბუქი. რაკი ეს თვალსაჩინო შეიქნა, შემოთვალულმა ინტელიგენტებმა მოიგონეს ქართული ანდაზა: „ყბედს ვინ მოლაღეს და მუნჯიო“, დაიღეს „საცო პირთა თვისთა და კარი ძნელი ბაგეთა თვისთა“; მდაბიურათ რომ მოგახსენოთ, ჩაჩუმდენ, ხმა ჩაიწყვიტეს. მაგრამ არც ამით ეშველა საქმეს. „მოძღვრების“ მიმდევრები თავისას არ იშლიან. რაკი არც ერთმა ნაცადმა ხერხმა არ იქმედა, შეშფოთებულ ინტელიგენტებს ახალი ხერხისთვის მიუმართათ. აი, მაგალითათ ბ. ი. ფანცხავა. მას მიუმართავს უდიდესი ავტორიტეტის გუსტავ ლებონისადმი და მოუწადინებია ამ ავტორიტეტს დახმარებით ერთი მხრით დააფრთხოს მქადაგებლები, მეორე მხრით ქართველი მკითხველი საზოგადოება დაიხსნას ცრუ მქადაგებლებისაგან. ჯერ მხოლოთ მცირე ნაწილია დაბეჭდილი ლებონის წერილისა „მოამბეში“, მაგრამ ისიც კმარა, რომ მკითხველმა დაინახოს, თუ რა შეილი ვინმე ბრძანდება ბ. ფანცხავას ავტორიტეტი.

ლებონის აზრით, წინათ „უმთავრესი და გარდამეტი გავლენა საწმენოებს და საპოლიტიკო ფაქტორებს ჰქონდა; დღეს კი ამათი გავლენა და მნიშვნელობა მისუსტდა და მიღუნდა, სამაგიეროთ ახლა უპირველესი ადგილი მოაპოვეს საწარმოო და საეკონომიო ფაქტორებმა, რომელთ მნიშვნელობა წინეთ ძლიერ მცირე იყო“. ამ აზრის დასამტკიცებლათ ბ. ფანცხავას ლებონის შემდეგი საბუთი მოჰყავს. „დიდი ხანია შემჩნეულია ის ფაქტი, რომ ჩვენ საუკუნემდე

მთელი ათასი წლები ისე ელიდენ, რომ სამუშაოთა რაღაც არაერთი ცვლილებას განიცდიდა. დღეს კი პირობანი ადამიანის არსებობისა სრულიად დაშალა და სრულებით ახალი საზოგადოებრივი ვითარება შექმნა იმ სულ უბრალო ფაქტმა, რომ ადამიანმა გამოიყენა ის ძალა, რომელსაც მზე ნელა, მილიონ წელთა განმავლობაში, ქვა-ნახშირათ ამზადებდა“. რა დასკვნა უნდა გამოვიყენოთ ბ. ლებონის დაკვირვებიდან? წინათ იარაღი ათასის წლობით უცვლელად იყო; საზოგადოებრივი ცხოვრებაც შესამჩნევათ არ იცვლებოდა. დღეს უბრალო ფაქტმა, ქვა-ნახშირის ხმარებამ ძირიანათ შეცვალა საზოგადოებრივი ცხოვრება, რევილიუცია მოახდინა. ვისაც ერთხელ მაინც წვევია ლოლიკა, მან უთუოთ უნდა დაასკვნას, რომ საწარმოო ძალის და იარაღის განვითარებაზე ყოფილა და არის დამოკიდებული საზოგადოებრივი ვითარების ცვლა. ბ. ლებონი და მისი თანამოაზრენე ბ. ფანცხავა კი სრულიად წინააღმდეგ ვასწავლიან. ჩანს არც ერთს და არც მეორეს ლოლიკა არ წყალობსთ. ასეთია ლოლიკური მხარე მათი მეცნიერული მოსაზრებისა. გავშინჯოთ ახლა მათი თეორია ისტორიული მხრით. იმ დროიდან, რაც კაცმა ცეცხლი შემოიღო ხმარებაში ჩვენ დრომდის უთვალავმა საუკუნეებმა განვლო; ასე რომ მზის ენერჯის ხმარება კაცისთვის არ ახალია, ძველია; და თუ ეს ასე გახლავს, საიდან მოხდა, რომ მარტო მეცხრამეტე საუკუნეში გამოიჩინა ზე გავლენა ამ ენერჯიამ საზოგადოებრივ ვითარებაზე? აქ სწორეთ იგივე ფაქტორი მოაღდის მზის ენერჯიას, როგორც შემთხვევის, რომელიც ინდოეთში ჩინებულათ გადიოდა ხეზე, ჩვენში კი ვერა.

თუ ლებონის და მისი აღვტის ბ. ფანცხავას ისტორიულ მოსაზრებას დაეტოვებთ და ჩვენ თითონ დავაკვირდებით ისტორიას, ადვილათ დაინახავთ, რომ ლებონის აზრი ლოლიკას გარდა ისტორიულ ნიადაგსაც მოკლებულია. მართლაც ვის შეუძლია დღეს თქვას, რომ ცეცხლს, ანუ სითბოს (ქვა-ნახშირი იძლევა მას თუ შეშა, ეს სულ ერთია) მეცხრამეტე საუკუნეში მეტი ზე გავლენა და მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ვინემ წინათ ათი-ათასი წლის განმავლობაში ჰქონდა და ისიც იმდენათ მეტი, რომ წინათ მისი ზე-გავლენა თითქმის უმნიშვნელო იყო, დღეს კი მარტო-მარტო ის შლის და აშენებს ცხოვრებას? თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სხვათაშორის ცეცხლმა მისცა საშუალება კაცს ერთ ადგილას დაბინავებასა, უცეცხლოთ იგი ვერ იგემებდა ვერც შემწვარს და ვერც მოხარშულს, ვერ გააკეთებდა ვერც ერთი ლითონისაგან იარაღს, ერთი სიტყვით კაცი უცეცხლოთ ვერ

დააღწევდა თავს ეელურ მდგომარეობას, დაგვეთანხმებით, რომ ზემო-მოყვანილი ისტორიული მოსაზრება ლებონისა ნამდვილი ბოდვაა, სხვა არაფერი; დამეთანხმებით, რომ ცეცხლს ყოველ დროს უდიდესი გავლენა ჰქონდა კაცთა საზოგადოების ვითარებაზე. წინააღმდეგი აზრი შეუძლია იქონიოს მხოლოდ მან, ვინც ისტორიას, როგორც ამბობს ერთი მეცნიერი, მარტო უკანასტარზე დაცქერის. ასეთ მეცნიერთა შორის, უეჭველია, საპატიო ადგილი უჭირავს ბ. ფანცხაევას და მის ლებონს.

საზოგადოთ უნდა შეენიშნოთ, რომ იმის ძიება-გამოკვლევა, თუ, როდის მეტი გავლენა ჰქონდა ამა თუ იმ ელემენტს, ან ფაქტორს წარსულში, თუ აწმყოში, მეცნიერულ საკითხს არ შეადგენს. მართლაც, ამა, ერთი გვიბრძანებთ, რომელი მეცნიერება იძლევა პასუხს იმაზე, თუ როდის ჰქონდა მეტი გავლენა და მნიშვნელობა პურს, წყალს, რკინას, ამა თუ იმ იარაღს, მეთვრამეტე საუკუნეში თუ პირველში. მეცნიერება იკვლევს თითოეულ ფაქტორის, გინდ მოვლენის, მნიშვნელობას თვისი დროის შესაფერ, იძიებს მოვლენათა შორის დამოკიდებულებას და არა ლებონისებურ კითხვას. ასე რომ არც ბ. ლებონს და არც მის მიმდევარ ფანცხაევას, რამდენათაც მათ გაგვაცნეს თავი თვისი აღნიშნულ წერილში, მეცნიერებასთან საერთო არა აქვთ რა.

ასევე მსჯელობს და მეცნიერობს ლებონი საზოგადოთ ეკონომიურ ფაქტორებზე. დღეს, მისი აზრით, მნიშვნელობა მარტოთ მარტო ეკონომიურ ცვლილებას აქვს; წინათ კი სარწმუნოებას და პოლიტიკას ჰქონდა. მაგალითათ რომ მოგახსენოთ, ეს ის იქნება, რომ ვითომც ადამიანი მეცხრამეტე საუკუნემდე მარტო პოლიტიკური და რელიგიური იდეებით იკვებებოდა. მოდით ახლა და მოთხოვეთ თქვენ მეცნიერული რამე ამ გვარი რამეების მოლათაიე ლებონს და მის მოტრუიალე ბ. ფანცხაევას?! დაუჯერეთ რამე მას, ვინც გარწმუნებს, რომ რეალურ პირობებს საზოგადობრივი ცხოვრების ცვლისას მეცხრამეტე საუკუნემდე რელიგიური იდეები შეადგენდნენ. ამ გვარი მეტაფიზიკური რამე-რუმეებით გემასპინძლობს ბ. ი. ფანცხაეა ამ ხანათ მისი ლებონის პირით; ამ გვარ ბოდვებს თარგმნის იგი იმ მიზნით, რომ „მოდღერების მქალაქებლებს“ ხმა ჩააწყვეტინოს და ქართველ მკითხველებს თვალ წინ ჰქეშმარიტება გადუშალოს... მარა კმარა, შეეჩერლეთ, ეგება ლებონმა და მის შეგირდმა ფანცხაევამ კიდევ რამე შეგვასწავლონ.

წერილები რედაქციის მიმართ. 1)

ბ.ნო რედაქტორო! თქვენ მსტივეტეულ გაზეთ „კვალში“ სტუდენტ დოდობუნიეს ეჭვი შეაქვს თქვენი კონკრეტული სიტუაციის სინამდვილეში. ნება მომეცით ამიტომ მეც დავემწეო კონკრეტული ნათქვამს. გულისშვილის და ვიფიანის საქმეში სტუდენტების და სტრუქტურული წყნეთელის ჩვენებას შუა განსხვავება არის. ამიტომ ან ერთი უნდა იყოს შემდგომი და ან მეორე. ბ. ი. ფანცხაევას, როგორც ვიფიანის დამტყვევლისთვის უმჯობესი იყო სტუდენტების ჩვენების გაზათილება. ამ აზრით იმნ შემდეგი ილაპარაკა: ქუთაისში შედგა ჯგუფი, წყნ. რომელსაც მიზნათ ჰქონდა ვიფიანის სენატის სკოლიდან გაძევება. ამ ჯგუფის უმკვლევობას შეადგენდნენ სტუდენტები. ამ მიზნით გამართეს ამ საფესულს რამდენჯერმე კრებები და დადგინეს, რომ, რა საშუალებითაც უნდა უფიფიელი, უნდა გაეძევიათ ვიფიანი, რადგან მან სენატის სკოლაში სწავლა დასაწყისად სასურველ ნიადაგზე... ამ საქმეში გულისშვილი შეადგენს იარაღს. სხვათა მოწინა ამ ჯგუფში მოწინააღმდეგობას იღებდნენ სტუდ. მეფისსვილი და ჯგუფი. ხომ მოგესხენებათ, რა ხაზსია ეს სტუდენტები? როგორ იცინა გატაცება ერთი რამე აზრით. ამიტომ რაკი ისინი ვიფიანის წინააღმდეგი იყვენ, უოველი მსრით ცდილობდნენ ეჩვენებიათ სამსაჯულსთვის, ისე რომ ვიფიანი გაშავებულაიყო. რომ სტ. მეფისსვილის და ჯგუფის ჩვენება მიუდგომელი არ არის და უოველებს სიმართლეს მო-

1) ს. ვიფიანის კვლევა ბ. ფანცხაეა შემდეგი წერილი და ბუქდა „ივერიაში“ (№ 251). გაზეთ „კვალი“ ს. მე-45 და 46 №-ში იყო დასტამბული, ვითომ მე ვიფიანის დაცვის დროს საზოგადოთ (?) სტუდენტების წინააღმდეგ შედგებოდა რაღაცის სასამართლოში. დავარწმუნებ უკვლავ იმათ, რომელთაც ჩემზედ ამისი ეჭვი შემოუტანიათ, რომ სტუდენტების წინააღმდეგი და საზოგადოთ იმათ შესახებ არა მითქვამს-რა; მე ვიფიანი წინააღმდეგი მსოფლოდ ბ.ნის გულისშვილის მოწმეთა ამ რაზოდ სტუდენტისა, რომელთა სინამდვილეს მოკლებული მოწმობა იქვე საბუთით დაუმტკიცდათ; რაცა შეეხება იმას, რომ „სტრუქტურული“ წყნეთელის მოწმობა უფრო სარწმუნოდ მივიღო, ვიდრე მოწმე სტუდენტისა, ეს რა უოეოთ? სიმართლეს ვერავის ვერ წავართმეოთ. რადგან დიდად ვწუხვარ ჩემზედ ასეთს ცილის წამებას და მინდა უფრო ნათლად და ცხადად დარწმუნდეს საზოგადოება ჩემს სიმართლეს, ვსთხოვ უმარჩიილესად სიმართლის ადგენას ბ.ნთ დავით ბესარიანის ქეს მდივანს, გრიგოლ ივანეს ქეს გუგელისანს, სიმონ კვიციანიშვილს და ანტონ გელაზაროვს, რომელნიც დაესწრენ რაქის სასამართლოში გულისშვილის და ვიფიანის საქმის განჩევის დროს“.



კლუბების ამ საქმეში, ეს იქიდანა ჩანს, რომ როდესაც საქმე იჭრება მთავარად მოსამართლესთან გულმოდგინედ თანხმდებოდა უიფიანთან შეკრებაზე, მან სტუდენტები შეკრადენ („Ворвалис“) მომრიგებელ მოსამართლესთან და შედეგის მუქარით მიმართეს გულმოდგინედ: „მოკვლავთ თუ შეუწყვიტოთ“. იმათ რიცხვში იყვნენ აგრეთვე სტუდ. მეფისმთავარი და ჯაყელი. ყველა ამის შემდეგ შეიძლება რომ იმათ ჩვენებს ვერაფერში! სულ სხვაა სტრუქტურა. იმას ამ საქმეში ანაკითხი ინტერესი არ აქვს. მას მისი ჩვენება ნამდვილი საქმის აღმოჩენა, რეპრეზენტის და საჩუქრის. ფაქტებს მიერ ახსენებდნენ დამტყუარების ასეთმა სურვილმა დიდი აღფრთხილება და უმელოფილეს გამომიწვია მსურველებში. სხვათა შორის სასტიკი გაჭვივება ის თავ. გრ ანაშაქი იქვე და დასინა, რომ სტუდენტები მოკვლენ იყვნენ ამ საქმეში ჩარეოდნენ. მათი მიზანი არა რამე შინა ინტერესი იყო, ანამედ საზოგადო საქმის გულწრფელი სასასურში და სხვა... \*)

ს. კილაძე.

ქუთაისი.

II

თქვენ პატ. ვაზ. „ველი“ სკამი კამათი გამოიწვია გულმოდგინდისა და უიფიანის საქმე და კმ. ფაქტებს გასაქმებამ სტუდენტების წინააღმდეგ. ჩვენ სხვა დროს ამ საქმეში არ ჩავერდით, მაგრამ ახლანდელი მოვლეთ მიგვაჩინა ჩვენი თავი გამოვთქვით ჩვენი ურთი გავიანდი. საქმის გაჩვენება მერ დავესწარ და უნდა დავამოწმო, რომ თქვენა შემტანეს. წერილი ნამდვილ სიმართლესა აშენებული. ბ. ფაქტებს შეუარსებოდა მიაყენა სტუდენტებს (ქუთაისის სასაკუთრებო) და ამ სკანის შესახებ ჩვენ ვრცელი წერილი ვქონდა რედაქციისათვის დამხადებული, მაგრამ იმ სანებში თქვენი შემტანეს წერილიც დაიბეჭდა და როცა ის წერილი ჩვენ წერილს შევადრეთ, ჩვენს წერილში მეტი ამოჩნდა: ბ. ფაქტებს მსჯელობა გადავრეთ მოსვალს, ისე, როგორც ბ. ქილაძის-თქვა.

ა — რე საბუღიანი.

ბ ა მ ს

III

ბაქოს ის ნაწილი, რომელზედაც ჩვენ წინა წერილებში ლაპარაკი გქონდა, შესანიშნავია როგორც თვისი შინაგანი ბუნების სიმდიდრით — ნაკის წყაროებით, ისე კიდევ არა ნაკლებ შესანიშნავია ამ სიმდიდრის დედამიწის გულიდან ამომღებთა სოციალური ცხოვრებით. ამ მხრით, როგორც ყოველ სამრეწველო ქალაქებში, ისე ბაქოშიაც ორ ერთი მეორისაგან მკაცრათ გარჩეულ ბანაკათ არიან მთელი მცხოვრებლები დაყოფილნი: ერთი მხრით დანან მუღამ ოფლითა და აუჯანელი ტანჯით დღიური ლუკმა პურის მაძიებელი მუშაობა და მეორე მხრით — ამათი შრომით ჯიბე გასქელებული მსხვილი და წვრილი კაშიკაღისტები. პირველთა ჩულებრივი ხვედრია მუღამ მოუსვენრათ იმუშაოს, მუღამ ბინძურათ, და ყოველგვარ ნორმალურ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლათ იცხოვროს. მეორეთა ბედია — პირველების ნაშრომით ისარგებლონ, თავის სკოლებში ყოველგვარი საფუფუნე მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილონ და როცა აღსასრულის დღე დაუღებათ ასეთი ნამაგვეი ვისაც აქვს კიდე მას მიუმატონ. ქვევით ჩვენ გაუზიარებთ მკითხველებს ამ ორ ერთი მეორის მოწინააღმდეგე კლასთა დახასიათებას, როგორც იგი გამოსჭვივს დღევანდელ ბაქოს ცხოვრებაში, და რაც დაგვანახა პირად დაკვირვებამ და ერთმა ახლახან გამოცემულმა მეტათ საულისხმო გამოკვლევამ ექიმი ბერტენსონისამ 1).

იმგვარი მძაფრი ბუნების პატრონი, როგორათაც ბაქო ჩვენ გავიცანით, სწორეთ ძალიან ბევრს უნდა ცდილობდეს, რომ მისი ცუდი გავლენა ადამიანზე შესამჩნევათ შეასუსტოს. თუ კი რომელიმე ქალაქის თვით მართველობას ქარდება ბუნების სიყვანთან ბრძოლა თვის მკვიდრთა საკეთილდღეოთ, მისი დამონაეება, — ეს სწორეთ ბაქო და მისი ღვიძლი შვილი ბალახანა და ბიბრ-ვიბატია. აი აქ უნდა ჰქონდეს ადგილი ყოველგვარ უსუეთაობასთან ბრძოლას. მაგრამ რას ეხედაეთ ჩვენ ამ მხრით? სანუკუშოა ვერას, რადგან, როგორც ყოველგვან, აქაც ყოფილან

1) Бакинские нефт.-промыслы и заводы въ санитарно-врачебномъ отношеніи. ეს და დემენტოვის „Фабрика“ რუსულ ლიტერატურაში სამკვლევითო შრომაა, რომელიც ადგილობრივთ იკვლევს ყოველგვარ დღევანდელ სიაგ-კარგს ფაბრიკების და შავადებისას და ამიტომ მკითხველი ნუ დაგვაყვადებს თუ შარკელიან ცნობა მეტ საბუთებს მოგიყვანთ ბაქოელთა ცხოვრების სასოველისწინებლად...

\*) ის იყო „ვალი“ იბეჭდებოდა, რომ მივიღეთ ამავე სკანის შესახებ ბ. ბ. დ. მდივანის, ს. კვიციანიანის, გველეხიანის და გელაზაჩივის საერთო წერილი. ეს და კილაძის წერილი სრულიად ეთანხმება ერთმანეთს. წერილს დაუბეჭდთ მომავალ ნომერში.

ხალხის გულ-შემატყვიარნი, მანვე ცალიერი სიტყვებით მზრუნველნი და ტკბილათ მოლაპარაკენი. საქმით კი ყოველი, ახლათ ბაქო-ბალახანას მხანველი, დარწმუნდება, რომ იქ ხალხზე მზრუნველობა სულ ცოტა რითივე ისაზღვრება — სახელდობ: „ნავთის მწარმოებელთა კრებებით“ და ქალაქის თვით მართველობაში ოქმების და პროექტების წერით. და აწნაირ კაბინეტურ ოქმებ-პროექტების შედეგები რაც არის, — ეს ყველა ცხოვრების სალი თვალით მასურებელთ კარგათ იციან. ამ მხრით ბაქოელთა მთელი ყურადღება იქით არის მიდრეკილი, რომ როგორმე მთელი დედამიწის გული ოქროთ აქციოს და სხვის კეთილდღეობაზე იმდენათ გაგიბამს მუსაფს, რამდენათაც ეს მის კეთილ-დღეობას ენება და მანვე გავლენა შეუძლია იქონიოს. მაგალითისათვის ავიღოთ იმათი გაფაციცებული მზრუნველობა ხალხზე 1898 წელს.


ამ წელს ერთი მხრით შავი ჭირის მოლოდინით და მეორეთი მთავრობის ძალდატანებით მე X-ე „სივზღში“ აღიძრა შემდეგი პროექტები, რომელნიც მე-IX-ე „სივზღმა“ „არსებითად და სისწრაფით სისრულეში მოსაყვანათ იცნო“: საყსაბოს გაკეთება და დაკლულ საქონელზე ბეითალთა მიერ თვალ-ყურის დევნება, ნების და ყოველგვარ სიბინძურის გადასატან მოწყობილებათა გაკეთება, წყლის გამოყვანა, გაკეთება ჰიგიენური საზოგადო აბანოებისა, მუშებისათვის სახლების და დროებითი თავ-შესაფართა, გაუმჯობესება პრომისლების მუშების მდგომარეობისა და მათი ახალ სახლებში დაბინაება, პრომისლების პატარ-პატარა და საბუნჩის დიდი ტბ-ს 1) გაშრობა, საავათმყოფოების გაუმჯობესება და ექიმების მომატება, და მრავ. სხვ. მაგრამ ერთი ორს გარდა ყველა ეს პროექტები დღემდე დავიწყების ყუთში იყო. დღეს კი ამას წინეთ აქ დაწებულმა „პრომისლების

რევიზიამ“ ბევრს ათას მანეთობით ჯარიმებმა შეიბამა გამოაღებინა და ყველა ერთმანეთს გაოცებით ეკითხება: ე, რა ამბავია, რომ აგერ 15—20 წელიწადია პრომისლების რევიზია არ ყოფილა და ახლა ვინ ეშმაკმა გამოგვიტყვიონა იგიო, რომ ასე სასტიკათ მოგვდგა და ვილაც „ჰამშარების“ (შავი-მუშებია თათრები-დან) გულსათვის ამოდენა ჯარიმებს გვაწერნო დიდი-პატარა, კაპიტალისტი თუ მისი მმართველ-ინჟენრები ყველა ამას ეკითხებოდა ერთმანეთს პრომისლების ტელეფონებში ამ ერთი თვის წინეთ და კითხულობდნ მიზეზს ასეთი სასტიკი რევიზიისას. ამის მიზეზებს კი ყველა გზათ გამოვლილი შეამჩნევს და ისიც, ვისიც პირდაპირი მოვალეობაა შეამჩნიოს ყოველ ნაბიჯზე წაატყდება ახლანდელი რევიზიების გამომწვევ მიზეზებს თუ კი განგებ თვალებს არ აიხვევს. ეს მიზეზებია მეტის მეტი აუტანელი ანტისანიტარული მდგომარეობა საზოგადო ბაქო-ბალახანის პრომისლების და ზავადებისა და კერძოთ იქ მომუშავე მუშების ღვთის ანაბანათ მიტოვება, რის განკურნებას (უბრალო კაცთ-მოყვარეობას რომ თავი დაეანებოთ) უნდა ცდილობდნ ისინიც კი, ვის ხელთაც უფლებით აღჭურვილი ძალაა, და ვინც თავისი ინტერესების დაცვისათვისაც უნდა ზრუნავდეს ამებზე...

როგორც უკვე ვიცით, ნავთის საწარმოვო ადგილები ორ ჯგუფათ იყოფიან: ერთია ბალახანა-ბიბი-ეიბატის პრომისლები, სადაც მიწიდან ამოაქვთ მახუტ-წყალნარევი ნავთი და მეორე შავი ქალაქის ზავადები, სადაც მილებით ეს ნედლი ნავთი გადმოაქვთ გადასამუშავებლათ 1). სამუშაოს მხრით პრომისლების მუშები გაცილებით უფრო ცუდ პირობებში არიან, ვინემ ბაქოს ზავადებზე მომუშავენი. პირველნი ეწევიან სულ შავ სამუშაოს, მუდამ ნავთსა და მახუტში არიან, მეორეებს კი უფრო მსუ-

1) „საბუნჩის ტბა“ საფლქო ინჟინერის მიერ აღსაწებულია „როგორც საღარო ყოველგვარი უწმინდურების, ნარცისი წულებს და ნაგეას, რაიდა აქ ჩამაქვს პრომისლების წულებს და ამნაიხათ აქედან ვრცელდება მთელ პრომისლებზე მუქადი და სულის შემხუთავი ომსივანი“. ეს ტბა ვანსაკუთრებულ გამისიის თქმითაც „უდიდეს საშიშრობას წარმოადგენს სანიტარული მხრით“...

1) ნედლი ნავთიდან შეიდანაიჩი პროდუქტი მუშავდება: 1, სანაოებელი ნავთი ანუ კერასინი, 2, ნავთ-ზეთი, 3, ზეთი, 4, ბენზინი (ყველაზე უძვირესი), 5, ბენზინ ზეთი — 6, გუდრონი და 7 მახუტი (მანქანების სათბობი მასალა). ამ ბოლო ხანში სხვა პროდუქტების კეთებასაც მიჰყვას ხელი ბაქოს ზავადებზე, რაც დიდ ტენსიურს გაუმჯობესებს თხროულობას ქემატრონეთაან.



ბუქი სამუშეარი აქეთ: იმათი საქმეა სხვა-და-სხვა მანქანების ხელის წყობა და სახელოსნოებში მუშაობა. გარდა ნაეთის წარმოებისა და თფილისში ადელხანოვის ტყეის ზეოდებზე მუშაობისა ჩვენ არ ვიცით არც ერთი წარმოება, სადაც სამუშაო პირობები ისე საძნელო იყვენ, როგორც ეს ამ წარმოებაშია. სხვაგან, მაგ. ტყიბულს, გინდ ჭიათურის მადნების მალაროებში თუ დროებით მტერიანი ჰაერით სული ეხუთება ადამიანს, სამაგეროთ მალაროებიდან როცა გამოვა წმინდა ჰაერს მაინც გადაყლაპავს, — აქ კი მუშა მუდამ იტიტუნება ნაეთსა და მახუტში, რომელიც სხეულის რივიანათ დამფარავი ტანისამოსის უქონლობის გამო, ხორცის კანს წვეს, ზედ მუწუკებს უჩინს და მალე სიცოცხლესაც უსპობს. ამნაირ გავლენას ქვეშ არიან ის მუშები, რომელნიც ტიტვლები მუშაობენ ფონტანებზე, წმინდენ სა ნაეთე ცისტერნებს (ქვებებს), ბეღლებს და ამოაქეთ ნაეთიანი ტალახი შახტებიდან (ორმოებიდან). ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ ამისთანა ორმოებში მომეტებული გაზის გავლენით მომუშავე გაბრუდება, გული წაუვა და, თუ იმ დროს არავინ მიუსწრო ამოსაყვანათ, იცე სულოს დაღვეს. ამის მაგალითები არა ერთი და ორი ყოფილა.

ათასგეარ სიმყარლის და მიაზმების გაჩენას ქუჩებსა და ეზოებში ხელს უწყობს ტალახი და მუმივი დამპალი ტბები, რომლებითაც საესეა პრომის ლების უმეტესი ნაწილი. ამას ემატება ფენისალაგების უქონლობა, რისგამოც ეზოები და ქუჩები საესეა უწმინდურობით. ის ფირმები, რომელთაც მუშებისათვის სახლები არა აქეთ, მათთვის ფენისალაგებზედაც აღარ ზრუნავენ. ბერტენსონის წიგნში მოყვანილია ერთი შემთხვევა, რომელიც ცხადათ ახასიათებს ბაქოელ კაპიტალისტთა ზნე-ჩვეულებას. ერთ მეზავოდესო, ამბობს იგი, რომელსაც, როგორც ჩანს, მობეზრებია პოლიციის მუღმივი გაფთხილება ფენისალაგების უსუფთაოთ და გაუწმენდლოთ შენახვის შესახებ, სულ მოუსპია იგი და შემდეგ მუშებს ქირაობდა იმ პირობით, რომ მათ ეს სამსახური არ მოე თხოვათ და სადაც სურდათ იქ შეესრულებინათ თავისი მოთხოვნალება... სწორეთ რომ ბურჟუაზული მომჭირნობაა!!

ანძიე.

(შემდეგი იქნება)

თოფის სროლა

II

(გაგმელება) \*

კიკოლა კაპუეტაშილმა ჩამოკიდა თოფი კედელზე და მიეგდო ლოგინზე. მის დაღალულობას ახლა ზედ დაერთო სულის-კდომა. მუხლები მოეკეთა. ამ წამში ფასია ნაძრახიშვილი რომ კიდევ შემოსულიყო და მთელი ოჯახი გაეტანა, კიკოლა წელსაც ველარ აითრედა, გარეთ ვერ გამოიხედავდა, ისე მოწყდა მთელ ტანში. მისი ცოლი, ანუსია, ხომ რაღა! სულ აცახცახდა. „ვაიმე, ვაიმეო!...“ იძახოდა წამგამოშეებით.

— კიკოლა!... ცუდათ ვარ — წაუჩურჩულა ანუსიამ თაფის ქმარს და მოუსვა გაცვიებული თითები მის ბანჯგელიან მკერდს.

— რა დაგემართა, ანუსია? — შიშით შეეკითხა ქმარი. — რათ გაცვიებია აგრე ხელები?

— გამაცვივა, მგონია, — ათროლებული ხმით უპასუხა ანუსიამ და მიეკრა ქმარს, თითქოს მის ცხელგულში ცდილობდა გათბობას.

— ეგ-ლა მაკლია. ახლა შენც ავით გამიხდი — წაბუტბუტა კიკოლამ, როცა ცოლის კბილების წაკა წუქი მოესმა. — ეგ შენ სულ შიშით მოგდის. ასე გგონია, ეინმე მოგკალი. არა, ძალი კოქლობით არ მოკვდება. სული ნუ მოგიშვია, გამაგრდი, თვარა გამამხელ ამალამის საქმეს და მართლა მაშინ დავილუპებით.

— ნეტა თოფის ხმა არ გავგონოსთ მეზობლებს და მე რაეა გავამხელ. ძაღლები საშინლათ აყეფდენ თოფის გავარდნაზე; მარა, მგონია, არავის გაუგონია... რა ვიცი, კაცის ხმას კი არ მოუწევია ჩემ ყურებამდის და...

— არა. პირველი ძილი იყო, ეინ გაიგონებდა? — დამშვიდდი და დაგეძინება — მზრუნველობით შემოხვია ხელები თაფის მეუღლეს კიკოლამ, თუმცა თითონ იმასე ათასნაირი ფიქრები ლოდვიით აწვენ გულზე და ჰქენჯნიდენ.

ამას შემდეგ ანუსიამ ვაკმინდა ხმა და კიკოლა ისევე გაერთო შავ ფიქრებში.

— ნამდვილათ ფასია იყო ჩემი კალმანების და ბადის ქურდი — იმეორებდა ის. — აბა, იმის მეტი ეინ იზამდა? როცა სათევაოთ წავედი, ის იღვა თაფის

\*) ის. კვლევი № 48.

ბაკეში და მითვალთვალვდა. შინ რომ დავბრუნდი, გზა გადამიჭრა, გამარჯობაც არ უთქვამს. ნამდვილათ გამიღარაჯდა. როგორც ეტყობა, იმას ჩემი ახალდაქვრალი კალმანები უნდოდა. ხეალ სასამართლოში ჩემ ხარჯზე უნდოდა მასამართლის გული მოეგო და ჩემთვის საქმე წაეგვინებია... ვერ მივართვი... ნამდვილათ ის იქნებოდა ჩემი ბადის და კალმანების ქურდი. კაი კალმანები კი დეიჭირა იმან ამაღამ... მძიმეთ არ უნდა იყოს დაჭრილი, თვარა ის იმ ადგილიდან წელს ვეღარ აითრევედა. იქვე დაეცემოდა...

ამ დროს ჩათვლემილი ანუსია მძლავრათ შეკრთა და მოჰყვა კივილს: „ვაიმე! — მოკლა, მოკლა... მისვენებენ საწყალს... ჩემი ქმრის მოკლულია... უიმე, დედა! ის ვინ არის?... ეგერ რომ შავი კაცი დგას?... არა, დედაშვილობამ... ტყუილი მოუხსენებიათ. ჩემ ქმარს ფასია არ მოუკლავს... უიმე!... მიშველეთ, კიკოლა დაიჭირეს!... ვაიმე!... — კადვე უკრო დაიწიელა ანუსიამ და ზეზე წამოჯდა.

კიკოლაც, გულგახეთქილი, წამოიწია ლოგინიდან და ჩაჰკითხა ცოლს: — დედაკაცო, რა დაგემართა?..

ანუსია შეკრთა და თვალები გამოახილა. ის თითქოს ახლა მოედა გონზე. — ჰა, რა იყო?... — გასცა მან აღვლევებულათ პა. უნი... — დაწყველა ღმერთმა! რაცხა გლახა სიზმარი მაქ... ჰა, არაფერი. ხომ არ წამომიბოდებია?... —

— რაფა არა, რალაცებს ამბობდი. კენესოდი, თითქოს ვინცხასი გეშინოდა?... გამოსარკვევათ უპასუხა კიკოლამ.


— ჰო, დაწყველოს ღმერთმა ეშმაკი!... მესიზრმა, ვითამც გიჭერდენ... მე ვითამ თავს ვაკლავდი.

— არაფერია, პირჯვარი გამოისახე და უფრო კარგათ დაგეძინება — ანუკემა ცოლი კიკოლამ, თუშცა მის გულში კიდევ უფრო საშინელი ცეცხლი ენთო. „კარგი ამბავი არ არის! იფიქრა მან. „ვაა თუ ეს ბოღეა ცუდი წინაგრძნობა იყოს“. გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი. ანუსიამ ხერინი ამოუშვა, ეტყობოდა ღრმით ჩაძინებოდა. არ ეძინა მხოლოთ კიკოლას. ის წამისწამ ტრიალებდა ლოგინში და ხენეშოდა. — აჰ, ჩემი შევლა არ არის! წაიუტა ბოლოს კიკოლამ. — არა, ეგ დეთის მტერი, ასე რათ ვადამეკიდა. რა უნდოდა ჩემგან?... თუ მოინელებს ჩემ ოჯახს, ეგ ქურდი, ავაზაკი, ეგ უნამუსო მოინელებს. მართლაც რომ მოკვდეს, მაშინევე მე ვადმომბრალებენ. სხვამ რომ არაინ თქვას, მისი ცოლი ტასია იტყვის. გზაზე დახვდა და თოფი ესროლო... თავსაც აღარაინ გამამართლებებს. ვინ დამიჯერებს, რომ ჩემ ბადეს და კალმანებს იპარავდა. ნეტაი მარც აღარ წამომეღო. თოფი როგორც ვა-

ეგდე. მაშინევე უნდა შემეტყობებია მეზობლებისთვისაც და ერთათ მოგვეძებნა წაღებული ბადე და კალმანები. ახლა რა ეტყო? ის ქვეყნის დამქცევი რომ მოკვდეს, მე გამხვევენ საქმეში, იტყვიან მტრობა ჭირდაო და იმიტომ მოკლაო. ოჰ, სწორეთ დავილუპე! — წამოიძახა კიკოლამ, გაბორბტებულმა, და კელავ წამოვარდა ლოგინიდან. ერთ ხანს ასე იჯდა სულგაკმენდილი, გარინდული დამბლა-დაცემულსავით. ბოლოს თოფნაკრავ დათვივით ვადმოკორდა ლოგინიდან და გამოვარდა აივანზე, ვადეყუდა ხარხინზე ჭ თავი იქით ვაიწეღინა, საითკენაც ფასიას სახლი ჩანდა, თითქოს უნდოდა რიღასიც მოსმენა.

ის იყო ვანთიადი დგებოდა. აღმოსავლეთისკენ სხივ-გამოღეული ალიონის ვარსკელავი ნელ-ნელა ჰქრებოდა, სინათლე თან-და-თან ძლევდა ღამეს. ტყე ვაცოცხლებულ იყო. შაშვები ვალობდენ, ბულბულების სტენისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. ბუნება ნაზი ღუმლით ვეშადებოდა ოქროს სამკაულის ჩაცმას, რადგან დიდებულ მნათობს წითლათ ავპრიალებინა აღმოსავლეთი და მისი ოქროს სხავებიც შორს აღარ იყვენ. მასის დიღის ნიავმა საქმათ ვაუგრილა კიკოლას შავიფიქრებისაგან ვაცხენებული შუბლი. ბუნების მხიარულებამ თითქოს ისაც ვაიტაცა; მან ვამოსახა პირჯვარი ამ სიტყვებთ: „ღმერთო არ ეღირსეარ შენ მოწყალეობას!“

ფასიას სახლი ნათლათ ვამოჩნდა. პაწია ვოგო მის ეზოში ქათმებს უყვივოდა საკენკის დასაყრელათ. ამის მეტი ხმაურობა იქიდან არა მოისმოღარა; კიკოლა კი იმართომ ვამოვარდა ოთახიდან ვარეთ, რომ ვოდება-ვავების ხმა მოჩვენებოდა. იმას ვგონა, ფასია მოკვდა და ტასია თმა-ვავლეჯილი მოთქვამდა. რაკი ყოველიევე ეს მოჩვენება ვამოდგა, კიკოლამ გული ვაიმხნევა: „არა უშავსრაო“ — წაილაპარაკა მან და შებრუნდა ისევე ოთახში ტანთისაცმელათ; მერე ვამოვიდა აივანზე, ჩავიდა ეზოში, საქონელი ვარეკა ტყეში, ბოლოს ახლოს ჩაუარა ფასიას ეზოს და ერთხელ კიდევ მიყურა, რომ შეეტყო, მწუხარების და ვოდების ხმა ხომ არა ვამოდისრა მისი სახლიდანო; მარა ფასიას ეზოში სულდგმული არაინ ქაჭანობდა, ის ვოგოც კი საღლაც ვამქრალიყო, რომელიც წელან ქათმებს უძახოდა. ამ ვარემოვებამ, ცოტა არ იყოს, კიკოლას გულს ნუგეშის მალამო მოაცხო. — შესაძლებელია, მართლაც წუხანდელი ქურდი ფასია არ ყოფილიყოსო — ვაივლო გულში კიკოლამ, საჩქაროთ მივიდა შინ, შეიკაზმა ცხენი, შემოიკრა უკან ხურჯინი, რომელშიაც ჰქონდა ოცდაათი კალმანი ცალკე ვახვეული და ათი კალმანიც ცალკე, აგრეთევე ერთი ცხრა პური და ორი ამოყვანა ყველი; შეჯდა ცხენზე და წავიდა სასამართლოში, რომელიც ჩენ-



რულას სოფელზე რვა ვერსით მოშორებული იყო. კიკოლას იმდღეს თავის ღორის მოკვლის საქმე ჰქონდა ფასიასთან გასარჩევი, ჩქარობდა მოსამართლესთვის ჯერ კიდევ სახლში მიესწრო, რომ მისი მოსამსახურის შუამავლობით ძღვენი მიერთმია და თავი გაეხსენებინა. იმან კარგათ იცოდა, რომ მოსამსახურეს თავის ბატონი ძალიან უჯეროდა და თუ მსახურს მორიადლიერებდა, მაშინ ბატონიც მისკენ იქნებოდა. ფასია თავისი მოკვიდული მოწმებით მერე ვერას უზამდა. ამიტომაც ის ცალკე გახვეული ათი კალმანი და ერთი ამოყვანა ყველი საკუთრათ მოსამართლის მოსამსახურესთვის უნდოდა. კიკოლა მივიდა მოსამართლის სადგომზე ეზოს მხრივ, ჩამოხტა ცხენიდან, გადმოიღო ხურჯინი, გააღო ჭიშკარი, შეიყვანა ეზოში ცხენი ტლოზე მიიბა, თვითონ კი ხურჯინიანი შევიდა სამზარეულოში, სადაც მოსამართლის მოსამსახურე, იგივე მოსამართლის მზარეული, პირმცინარე მიეგება და ხურჯინი ჩამოართვა. იმან ამოალაგა ხურჯინიდან ბატონის მისართმევი ძღვენი, ხოლო, რაც პატარა პარკათ იყო შეკრული, ის თავისკენ გადაიღო და უღვაშებში ჩაიციინა.

— შენი ჭირიმე—უთხრა კიკოლამ მოსამართლის მოსამსახურეს—ისე მომიხერხე საქმე, რომ მოსამართლემ ჩემსკენ გადაწყვიტოს. მოწმები აქ მყავან. მოწმები კიდევ რა! მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ფასიამ ჩემი ღორი დაკლა. ხევისთაყვების მოწმობაც სასამართლოშია წარმოდგენილი, ჩემი ღორის თავი და ერთი ფელიკი რომ ოჯახში უნახეს, ბელელში ჩამოკიდებული.

— კარგი, კარგი. რა კი აგრე ყოფილა, უსათუოთ შენ გადაგიწყვიტეს—დატანა უღვაშის გრეხით მოსამართლის მოსამსახურემ.—ძალიან კარგი საქმე დაგეშართა, რომ აღრე მოდი და ფასიას მოასწრე. აწი, რომ კიდევ მოვიდეს, იმას აღარ მივიღებ, ასე მაქვს მოსამართლისგან ნათქვამი.

კიკოლას იმედი მიეცა საქმის მოგებისა, წავიდა და სასამართლო დარბაზში დაჯდა. ის იქ თვალებით ეძებდა ფასიას, მაგრამ ვერ შენიშნა. მას აქეთ რამდენჯერაც შემოაღებდნენ სასამართლოს დარბაზის კარს, იმდენჯერ კიკოლა იქით მიიხედავდა, რომ შეეტყო, ფასია ხომ არ მოდისო. იმას კიდევ უნდოდა, რომ ფასია მოსულიყო სასამართლოში და არც უნდოდა. უნდოდა იმისთვის, რომ დარწმუნებულიყო, ფასია დაჭრილი არ იყო, და არც უნდოდა, რადგან ეშინოდა, ვაი თუ საქმე წამაგებინოსო. მართლაც იმდღეს სასამართლოს სხდომა ისე გათავდა, რომ ფასია არ გამოჩენილა—და მოსამართლემ დაუსწრებელი განჩინება დაადგინა. ფასიას გადაუწყვიტა თუ-

მანი ღორის ფასი და ორი მანათი საქმის საწარმოებელი—სულ კიკოლას სასარგებლოთ.

არ შეიძლებოდა ეთქვა კაცს, რომ კიკოლას ძალიან განარებოდა ამ საქმის მოგება, რადგან შინსკენ რომ გამობრუნდა, გულზე ეკლათ დაესო წუხანდელი ამბავი. მოდის კიკოლა სახლში და საქმის მოგება იმას აღარაფრათ ახარებს. ახლა კი ნამდვილათ დარწმუნდა, რომ ფასია მისი თაფით დაჭრილი იყო. რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს კიკოლა, ისე თან-და-თან უფრო დიდ მწუხარებას ეძლეოდა; აი, აგრე გამიცხადებს ვინმე ფასიას სიკვდილს და ან, აი, აგრე გაეგონებ ტასიას ხმა-მალა მოთქმასო. ბოლოს იმდენათ აეშალა ტვინისძაფები, რომ ტასიას მოთქმაც შემოესმა.—ეს ოხერი გლახა ნიშანია, ყური მიწივისო—წაილაპარაკა კიკოლამ ტლოზე მარცხენა ყურის სრესა. არ მოხერხდება, რომ ცუდი ამბავი რამე არ გაეგონო. ისე გაბრუნებული ჩავიდა სახლში კიკოლა, რომ გეკითხნა, ვერ გეტყოდა, თუ სად იყო. ამდროს ანუისია წინ შემოეგება მზარეული სახით და უთხრა: იცი, კიკოლა? ფასია გუშინ გომარეთს წასულა საქონლის საყიდლოთ.

- ჰა, რაო, დედაკაცო? არ მესმის რას მეუბნები?
- ფასია გომარეთს წასულა გუშინ.
- რაო, ვინო, როგორო?
- კაცო, რაე გამოლენჩებულხარ? არ გესმის, რას გეუბნები?—ფასია გომარეთს წასულა.
- როდის?
- გუშინ.

როგორ თუ გუშინ?—შეეკითხა კოლს კიკოლა და არ ჯეროდა, რადგან იმან ნამდვილათ მისი თვალებით დაინახა გუშინ სალამოს, რომ ფასიამ გზა გადაუჭრა, როცა თვითონ კიკოლა სათეზაოდან მოდიოდა სახლში.

— ბეჩა, კაცო, სულ გამოლენჩებულხარ. რაე ვერ გეიგე, რომ ფასია გომარეთს წასულა გუშინ. დღეს ეს ამბავი მისმა ცოლმა ტასიამ უთხრა ჩვენ მეზობელს. ამ ახალმა გარემოებამ კიკოლა საკმაოთ გამოარკვია მწუხარებიდან

ბ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

თამარ ღებოფლის დიდი სურათი (ფერადი წამლებით) დღეის იქით გაიყიდება „პალის“ რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზავნი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთელი.





Открыта подписка на 1899 г.—Издается съ 1889 г.—Подписной годъ съ 1 ноября.

# ПРИРОДА И ЛЮДИ

РУБ. 1А ГОДЪ безъ доставки въ  
Спб.; въ Москвѣ (у Н. Печ-  
ковскій) 5 р. 50 к.; съ доставкой въ  
С. Петербургъ и Москвѣ и перес. во всё  
гор. Россіи ШЕСТЬ руб. Допускается  
разсрочка: при подп. 2 р., къ 1-му  
марта 1 руб., къ 1-му мая 1 руб. и  
къ 1-му юля остальныя.

Пробный № высылается за 7 к. марку

**52** ИЛЛЮСТРИРОВАННЫХЪ №№.  
Каждый № въ размѣрѣ 2 листовъ боль-  
шого формата (16 стран. плотной печати)  
заключаетъ въ себѣ разнообразное,  
интересное и полезное чтеніе. Девизъ  
журнала „Польза и развлеченіе“. Редакція  
тщательно избѣгаетъ всего, что отвѣщаетъ суровости,  
всего, что можетъ наводить скуку на читателей.

**12** ИЛЛЮСТРИРОВ. ВЫПУСКОВЪ „ПОЛЕЗНОЙ БИБЛИОТЕКИ“  
(болѣе 300 рисунковъ)

„ЗЕМЛЯ И ЕЯ НАРОДЫ“ составляющихъ  
ДВА ТОМА  
соч. гельвальда  
„Живописная Европа“, „Живописная Африка“, „Живописная  
Австралія съ Океаніей“ и „Полярныя страны“).

Съ первыхъ №№ въ журналѣ  
печатаются „Приключенія Новаго  
Робинзона“, Луи Ружемона, 30  
лѣтъ прожившаго, среди дика-  
рей.

И, КРОМЪ ТОГО, НОВОЕ БЕСПЛАТНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ

„Приключенія Новаго Робинзона“  
въ короткое время разошлись за-  
границей въ количествѣ 800,00  
экземпляровъ.

**12** ТОМОВЪ  
СОЧИНЕНІИ

## ГУСТАВА ЭМАРА

Объемомъ болѣе  
3,000 стран. большого  
формата убористой пе-  
чати.

(М.) 218 2—1

Журналъ „ПРИРОДА И ЛЮДИ“, вступая въ десятый годъ изданія, будетъ по прежнему неуклонно идти къ своей цѣли—быть общедоступнымъ журналомъ для семейнаго чтенія, равно интереснымъ для всѣхъ и каждаго. Постоянно возрастающее число подписчиковъ указываетъ на потребность такого журнала въ нашемъ обществѣ и на успѣхъ его. Издатель П. Сойкинъ. Редакторъ Ф. Груздевъ.

Подписка принимается въ главной конторѣ: С.-Петербургъ, Стремянная, собств. домъ, № 12.

### ОТКРЫТА ПОДПИСКА НА на 1899 годъ.

на ежедневную политич. и литературную газету.

### „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(шестнадцатый годъ изданія).

Въ 1899 г. „Новое Обозрѣніе“ будетъ выходить въ Тифлисъ, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ большихъ столичныхъ газетъ.

#### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

На 12 мѣсяцевъ 10 р. — к.  
„ 6 „ . . . 6 „ — „  
„ 3 „ . . . 3 „ 50 „

На 1 мѣсяца. 1 р. 50 к.

Заграницу на годъ 17 р., на полгода 9 р., на три мѣсяца 5 р.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца.

Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ—7 р., полгода—4 р.

Для годовыхъ подписчиковъ какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Подписка и объявленія принимаются въ Тифлисъ: въ конторѣ газеты, Бяратинская ул. № 8.

Иногородные адресуютъ свои требованія: въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“.

Подписка и объявленія принимаются: въ Тифлисъ—въ конторѣ газеты, Бяратинская ул. № 8; въ Батумъ—въ книжномъ агентствѣ М. И. Николадзе; въ Кутаисъ—въ книжн. магазинахъ Чиладзе и Бежанейшвили.

РОЗНИЧНАЯ ПРОДАЖА газ. „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“ въ ПЕТЕРБУРГѢ производится въ газетныхъ кіоскахъ: у Аничкина и Никол. мостовъ, на Казанской площади, у Гостиного двора и въ газетномъ агентствѣ въ пассажѣ.



Открыта подписка на 1-99 г. на

два еженедельные иллюстрированные журнала для дѣтей и юношества

# ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО

основанные С. М. МАКАРОВОЮ и издаваемые под редакцію И. Х. ВЕССЕЛЯ  
XVIII-й годъ изданія.

«ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО» въ 1899 году, по примѣру прежнихъ лѣтъ, будетъ выходить въ двухъ совершенно самостоятельныхъ изданіяхъ:

## I. „ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“

ЖУРНАЛЪ ДЛЯ ДѢТЕЙ МЛАДШАГО ВОЗРАСТА  
(отъ 5 до 10 лѣтъ).

Подписчики на „ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“ для дѣтей младшаго возраста въ теченіе 1899 года получатъ: 52 №№ богато иллюстрированнаго журнала, „ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“ и премію: большую олеографическую картину „ПОПРОСИ ХОРОШЕНЬКО“, а также „БИБЛОТЕЧКУ ЗАДУШЕВНАГО СЛОВА“, въ составъ которой войдутъ четыре книжки съ раскрашенными и черными картинками въ оригинальномъ форматѣ: 1) „НА ДОСУГѢ“, 2) „ДѢТСКІЯ ПѢСЕНКИ“, 3) „МАЛЬЧИГЪ СЪ ПАЛЬЧИГЪ“ и 4) „ДѢВОЧКА СЪ БАШМАЧКАМИ“. Въ каждомъ номерѣ журнала будетъ помѣщена какая-нибудь игра или занятіе для дѣтей, юмористич. рисунки и пр. Журналъ печатается крупнымъ шрифтомъ.

Кромѣ того, при каждомъ изданіи журнала „ЗАДУШЕВНАГО СЛОВА“ будутъ разсылаться особые приложения для родителей: „ПЕДАГОГИЧЕСКІЙ ЛИСТОКЪ“ и „ДѢТСКІЯ МОДЫ“.

Подписная цѣна каждому изданію „ЗАДУШЕВНАГО СЛОВА“ (по выбору подписчиковъ), со всеми преміями и приложениями, съ доставкой въ С.-Петербургъ и съ пересылкою во все мѣста Россійской имперіи—6 рублей; за-границу—8 рублей.

Допускается разсрочка платежа на три срока, по два рубля: 1) при подпискѣ, 2) къ 1-му февраля 1899 г. и 3) къ 1-му мая 1899 г.

ПОДПИСНОЙ ГОДЪ СЪ 1-ГО НОЯВРЯ 1899 ГОДА.

Подписка принимается въ книжныхъ магазинахъ ГОВАРИЩЕСТВА М. О. ВОЛЬФЪ.

С.-ПЕТЕРБУРГЪ, Гостинный дворъ, № 18.    МОСКВА, Кузнецкій мостъ, № 12  
(М.) 219 2-1.

## II. „ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“

ЖУРНАЛЪ ДЛЯ ДѢТЕЙ СТАРШАГО ВОЗРАСТА  
(отъ 10 до 14 лѣтъ).

Подписчики на „ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“ для дѣтей старшаго возраста въ теченіе 1899 года получатъ: 52 №№ богато иллюстрированнаго журнала „ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“ и премію: „КАЛЕНДАРЬ“ съ СПРАВОЧНИКОМЪ ДЛЯ УЧАЩИХСЯ“ въ перепл. на 1898—99 учебный годъ, а также 52 выпуска „БИБЛОТЕКИ ЗНАМЕНИТЫХЪ ПИСАТЕЛЕЙ ДЛЯ ЮНОШЕСТВА“, въ составъ которой войдутъ славующія сочиненія: 1) „ОТКРЫТІЕ АМЕРИКИ“, А. Е. Разина, съ илл., 2) „ИСТОРІЯ МАЛЕНЬКАГО ЧЕЛОВѢКА“, А. Додэ, съ иллюстр., 3) „ПОСЛѢДНІЙ ИЗЪ МОГИКАНЪ“, Ф. Купера, съ рис. Андриолли и 4) „ПЕРТСКАЯ КРАСАВИЦА“, Вальтеръ Скотта, съ иллюстр.

საბავშვო წიგნი

ალექსანდრე სოლოვოზუბოვი

მიიღებს აეთმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. მიხილოს ქუჩა № 32. (10--5)

საბავშვო წიგნი

„საბავშვო სკოლა“

ჯეჯილის რედაქციის გამომცემი

თარ. ელ. წიგნების

ფასი 30 კპ.

იყილება „წიგნა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მალაზაში და თეთი ჯეჯილის რედაქციაში.

ქართული თეატრი.

სპირას 29 ნოემბერს 1898 წ.

ქართული დრამ. საზოგ. არტისტებისაგან ეუ მესის და გ. ეიფანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

### „სამფობლო“

სუთაბათს 3 დეკემბერს


ქალბ. კარგაკეთელის ბუნევისა

ქართული დრამატ. საზოგ. არტისტებისაგან

წარმოდგენილი იქნება:

### „საყვანიჭო“

დრამა გ. მესისა.



# კვ. ვიშნოვსკი

წერილი რედაქციის მიმართ.

о поднятіи образованія среди грузинскаго дворянства გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებას წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში, ფასი ერთი აბაზი. ენც ათ წიგნს და ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპეკათ. მიღველთ უნდა მიმართონ ხსენებულ მაღაზიას.

(4—4)

საუბრეწეილო ნახატებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

ფალიფადი მათა

გამოდის 1899 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) თფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка № 101), და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. № 5,

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисѣ, въ редакцію грузинскаго общаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა

ქ—ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის ჟურნალ „ჯეჯილის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც თუელით შემწეობა აღმოუჩინეს სოფელ ანაგის საკლესიო სკოლას. თუელი შემოსწიქს: კნ. ილარიონ ჭავჭავაძემ—25 მ. პ.ნ.მა მან. ნაიშვილმა—1 მ. პ.მა ქავკასიამ—1 მ. პ.მა თოფურშიემ—1 მ. 50 კ. ი. ხოსიტოვმა—2 მ. 50 კ. ი. მან. შვილმა—1 მ. ი. დუმბაქემ—1 მ. ნ. შავლიაქემ 2 მ. კნ. ჩიჩუამ—1 მ. კნ. თუმანიშვილმა—1 მ. კნ. სიკო მიქელაძემ—1 მ. კნ. ტიტინაშვილმა 1 მ. პ.მა აბაშიძემ—1 მ. ს. შავრდიაშვილმა—1 მ. პ.მა ოსიკაშვილმა 1 მ. ქ. ქავკასიამ—1 მ. კ. დიმიტრიანმა—1 მ. პ.მა საჩხუხაშვილმა—1 მ. პ.მა შენგელიამ—1 მ. პიჩუაშვილმა 1 მ. პ.მა ეგვაკტამ—1 მ. ექიმმა სდოკინიკაშვილმა—2 მ.—სულ 50 მან.

სიღრმის მზრის საკლესიო სკოლების მეთაურ ჟურნ. ი. მირიანაშვილი.

კბილის ექიმი

## ვ. ი. ქიქინაძე

მიხეილოვის ქუჩა, № 81 სახლი, დ. სლივიცკისა. ავთომყოფებს მიიღებს დილით 8—1 ს. და საღამოთი 5—8 საათამდე.

# ზანგი და თეთრი

ჯეჯილის გამოსემა

შეიღი ცინკოგრაფიული ნახატი.  
ფასი 15 კაპ., ხოლო საჩუქრით, ვარაუდს უღრმესი, ეღირება 1 მან. იუღება „წერა-კითხვის“ საზ. „წიგნთ-საცემი“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში.